საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 30 ნოემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, [illegible] ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი [illegible] გვერდზე, იხე მეოთხეზე, სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნახევ განცხადებები არ დაიბეჭდება. რედ[illegible] და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 27

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 274

ღრმათ დამწუხრებული დედა ელისაბედ პაპილას ასული, ძმები: ვასილი, დავით, ივანე და ნიკოლოზ გრიგორის ძენი, რძლები: ეკატერინე გრიგორის ასული და ოლღა ალექსანდრეს ასული, ბიძა თომა ივანეს ძე ონიკაძენი და სიძე ვლადიმერ ყარამანის ძე ბალაშვილი დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 26 ნოემბერს 1919 წელს ტრაღიკულად გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

გიორგი გრიგორის ძე ონიკაძე

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე (19 თებერვლის ქუჩა, № 47), გამოსვენება მოხდება სამების ეკლესიაში. დაკრძალვა—პეტრე პავლეს სასაფლაოზე კვირას, 30 ნოემბერს 1919 წელს. (3113—2—2)

კვირას, 30 გიორგობისთვეს 12 ნახ. საათზე ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ფარნაოზ ნიკოლოზის ძე ქავთარაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ქვრივი ოლღა დავით წერეთლის ასული ქავთარაძისა და შვილები: შუშანიკა (გოგუცა), ნინო, დავით, კონსტანტინე და სალომე ქავთარაძეები. (3123—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ელენე მიზარბეგის ასული, შვილები: ივანე გიორგის ძე და კატუშა, რძალი ლიზა, შვილის შვილები: გივი და ნელი დუმბაძენი და სიძე ვლასა კონტრიძე აუწყებენ ნაცნობ ნათესავებს, რომ ორშაბათს, 1 დეკემბერს (ახ. სტ.) ჰალის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათი საყვარელი

გიორგი ივანეს ძე დუმბაძის

სულის მოსახსენებლად. (3120—1—1)

პარასკევს, 27 ნოემბერს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა

ოლღა გრიგოლის ასული ქუთათელაძისა

რასაც აუწყებენ მეგობრებს, ნათესავთ და ნაცნობთ. გამოსვენება კვირას, 30 ნოემბერს, 10 საათზე მიხეილის საავადმყოფოდან. დაკრძალვა იმავე დღეს წმ. ნინოს სასაფლაოზე. (3126—1—1)

გულ-დათუთქული დედა მარიამ ივანეს ასული, ძმები: ბაგრატი, გიორგი, არტემ დიანოსის ძენი და ნინა დიანოსის ასული თვაურისა, სიძე პავლე ალექსის ძე თვაური, რძალი მარიამ სვიმონის ასული ქლენტისა შვილებითურთ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი უსაყვარლესი

სიდონია დიანოსის ასულის ქლენტის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე წირვა და პანაშვიდი ორშაბათს 1 დეკემბერს. წირვა ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში 10 საათზე, პანაშვიდი კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე 12 საათზე. (3127—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე დესპინე (იგივე ეკატერინე) დიმიტრის ასული, შვილები: სტუდ. მიშა, (მიხეილ) აკაკი, ნინა; ძმები: ლავრენტი და მღვ. ფილიპე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 2 დეკემბერს (ახ. სტ.) დღითი სამშაბათს, ჰანიეთის მთავარ ანგელოზის და თფილისის ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიებში გადახდილ იქნება გარდაცვალებიდან წლის თავის წირვა და პანაშვიდი მათთვის საყვარელის და დაუვიწყარის ყოფილ ჰანიეთის ეკლესიის მღვდლის

არსენ მაქსიმეს ძე ქავთარაძის

სულის მოსახსენიბლად. (3132—1—1)

კვირას, 30 ნოემბერს 12 ნახ. საათზე ქ. თფილისში კათოლიკეთა ეკლესიაში (კათოლიკეთა ქუჩაზე) გადახდილი იქნება პანაშვიდი

ალექსანდრე თომას ძის და ვასილი ალექსანდრის ძის თუმანიშვილების

სულის მოსახსენებლად, პირველის წლის და მეორესი კი ორი წლის თავზე, რასაც აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ექიმი ალექსანდრე თუმანიშვილი ოჯახობით და სოფიო თუმანიშვილისა. (3136—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: დავარი დათუაშვილისა, ვანო, ალექსანდრე, ნიკო, ავთანდილ, ანდრო, კონსტანტინე, აპოლონ, თამარა, ფაცია, ლუბა და მიშა დათუაშვილი, უმანკო გვარჯალაძე, ნოე, მანა, ქსენია ანასტასი, და ელენე და თიკო კარანაძე და თეოფინე ხვიჩია აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს უეცრად გარდაცვალების ძვირფასი დაუვიწყარის 1. მეუღლის, 2. შვილების, 3. ძმის, 4. სიდედრის, 5 ცოლის ძმის, 6 ცოლის დის და ქვისლების

ვალოდია ალექსანდრეს ძე დათუაშვილისას

დასაფლავება დანიშნულია კვირას, 30 ნოემბერს 2 საათზე, წმინდა გიორგის ეკლესიაში ქ. ლანჩხუთში. (3124—1—1)

დღეს, 30 ნოემბერს, (ძველი სტილით 17 ნ.) სოფ. ჯუმათის ღვთის მშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ მღვდლის

სამსონ დარჩიას

სულის მოსახსენებლად—რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დამწუხრებული მეუღლე ასინეთი დიმიტრის ასული და შვილები ლეონინა, ალექსანდრა, ევგენი, მოსე და გიორგი და ჩიები. (3131—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: სიმამრი მოსე, სიდედრი პასიკო და ცოლის ძმა ისმაილი მეუღლითურთ ლუბათი თევზაძეები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უძვირფასესი სიძის კიევის კომერციულ ინსტიტუტის კურს დამთავრებულის

გიორგი გოგიტაძის

უდროოდ დაკარგვას. გარდაიცვალა ა. წ. 26 ნოემბერს ქ. ქუთაისში. (3125—2—1)

ნოემბრის 30-დან კვლავ გამოვა

ყოველ-კვირეული იუმორისტული ჟურნალი

ეშმაკის მათრახი

რედაქცია მოუწოდებს ძველ მეგობრებს და ახალ თანამგრძნობებს, შემოკრბენ მის გარშემო და ძველებურის თავგამოდებით მოეკიდონ საქმეს.

დაბეჭდილ წერილებში (ვინც ამის სურვილს განაცხადებს) თანამშრომლებს მიეცემათ ჰონორარი.

ვიდრე რედაქცია საკუთარ ბინას აიჩენდეს, წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თფილისი, „ერთობის“ რედაქცია, რუსთაველის პრ. № 24. („ეშმაკის მათრახისათვის“).

ჟურნალი ეღირება თითო ცალი 6 მანეთად.

ჟურნალს ხელმძღვანელობას გაუწევენ ეშმაკი და თაგუნა.

პროვინციის და თფილისელმა გამყიდველებმა უნდა მიმართონ კანტორა „განათლებას“. (უფ. 2—2)

## საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

პალატის კომიტეტი აცხადებს, რომ ნოემბრიდან გაიხსნა პალატის ბინაზე, ეროვნულ საბჭოს ქუჩაზე № 11, (ფრეილინის ქ. 11, ტელ. 9—18). საკონსულტაციო და სავაჭრო განყოფილებანი საქართველოს ვაჭარ-მრეწველთათვის, სადაც განსაზღვრულ საათებში ყველა ვაჭარ-მრეწველს, განურჩევლად ეროვნებისა, შეუძლიანთ მიმართონ რჩევისათვის და ცნობების მისაღებად.

იურიდიული განყოფილება. ვაჭარ მრეწველნი მიიღებენ ნაფიც ვექილისაგან სრულიად უფასოდ რჩევას ყოველგვარი სამოქალაქო საქმეების შესახებ, რომლებსაც ექნებათ დამოკიდებულება ვაჭრობა მრეწველობასთან, დაუწერენ თხოვნას, საჩივარს, განცხადებას და სხ. წარსადგენად სასამართლოებში და სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში. განყოფილება ღიაა ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა 11—2 ს.

ტეხნიკო განყოფილება. სატეხნიკო განყოფილებაში მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ რჩევა და ცნობები სრულიად უფასოდ როგორც შესახებ ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების გახსნისა, აგრეთვე არსებულის გაუმჯობესობისა, მანქანებისა, მასალისა; განყოფილება შეადგენს მოკლე გეგმებს ქარხნებისა და ფაბრიკებისას. დაახლოვებით ხარჯთ აღრიცხვას და სხ.

რთული კითხვები განხილულ იქნება ტეხნიკთა საბჭოში, რომლის აზრი შეკითხველს მიეცემა წერილობით. ბიურო კისრულობს საზღვარ-გარეთ მყოფ (ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიაში, იტალიაში, გერმანიაში, შვეციაში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში) პალატის წარმომადგენელთა საშუალებით მსურველისათვის დაიბაროს ყოველგვარი საჭირო ცნობები საქართველოში არსებული ანუ განზრახული მრეწველობისათვის.

ამგვარივე ცნობების მიღება შეიძლება სასოფლო სამეურნეო მრეწველობისათვის და მეურნეობისათვის.

სავაჭრო განყოფილება კისრულობს დავალებას ევროპიდან დაიბაროს საქონელი, ფასები, ნიმუშები, ცნობები, აგრეთვე მოძებნოს ევროპაში საქართველოს საწარმოებისათვის საუკეთესო ბაზრები, დაეხმაროს ვაჭარ მრეწველთ მიწერ-მოწერაში (რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე).

თფილისს გარეთ მცხოვრებთ შეუძლიანთ წერილობით მიმართონ სამივე განყოფილებას სავაჭრო-სამრეწველო პალატის სახელზე.

პალატას შეუძლიან მისცეს მსურველთ აგრეთვე აგრონომიული რჩევა-დარიგება 10—2 საათამდის. (3116—3—2)

## უკანასკნელი ამონაკვნესი

ამ დღეებში ამიერ კავკასიის ბოლშევიკ ყაჩაღთა კავშირმა, რომელსაც სახელად „კომუნისტთა პარტიის კრაევოი კომიტეტი“ ეწოდება, გამოაქვეყნა განცხადება პროკლამაცია. ამ განცხადებით, როგორც სჩანს, ვიღაცას შეშინებას აპირებენ. ეს შავბნელიანი და პირსისხლიანი „გმირები“ ფაფხურობენ და იმუქრებიან, მენშევიკებმა სახალხო რევოლიუციონური მოძრაობა (აქ კომუნისტ ავაზაკების უკანასკნელ გამოსვლებზეა ლაპარაკი) სისხლში ჩაახრჩოვო, ბრძანებენ ჩრეზვიჩაიკების ჯალათები და თანაც იმუქრებიან ამიერიდან ჩვენ თეთრ ტერორს წითელი ტერორით ვუპასუხებთ, სანამ ერთი კომუნისტი მაინც დარჩება საქართველოშიო.

თუ კომუნისტებმა მართლა ამ გზით იარეს, მათ დიდხანს სიამული არ დასპირდებათ, რადგან მალე დაუდგებათ დრო, როდესაც წამლათაც არ დარჩება საქართველოში კომუნისტის ჭაჭანება. ნუ თუ ამ უგნურებს გონიათ, რომ მთელ მშრომელ ხალხს, დემოკრატიასა და მის მესვეურ პარტიას ტერორით დააშინებს და აალებინებს ხელს რევოლიუციის სამსახურზე.

ეს განცხადება კომუნისტ ავაზაკთა უკანასკნელი ამონაკვნესია. მათ სცადეს მასიური გამოსვლა, მაგრამ თვით მასსამ, ხალხმა მათ ავანტიურას სასტიკი ომი გამოუცხადა; ისე, როგორც ცოფიან ძაღლებს, დაედევნა მათ ყაჩაღურ ბრბოებს შეგნებული ხალხი, გათოკა ეს ავაზაკები და მთავრობას მათი სასტიკი დასჯა მოსთხოვა. დღეს კომუნისტებს საშინელი რისხვა დაატყდა თავს, მათ ბნელ გმირებს როდი შეუძლიათ თავი დაანახვონ მასსას. იუდა-მოღალატენი განრისხული არიან ხალხის მასსიდან და აი საბრალონი უკანასკნელ სასოწარკვეთილების „ჟესტს“ აკეთებენ. ტერორს, „წითელ“ ტერორს ვაწარმოებთო. ვის აშინებენ ეს მუხანათი ლაჩრები?! ბრძოლაში გამობრძმედილ საქართველოს მუშათა კლასსა და მის ხელმძღვანელ სოციალ-დემოკრატიას?! მახლას!

სჩანს ვაჟბატონ კომუნისტებს ავაზაკერი კუდი ასწვიათ. ხალხმა მთავრობას გადაჭრით მოსთხოვა, რომ მას ძველებურ ლმობიერ პოლიტიკაზე ხელი აელო და ხალხის მტრებისთვის მახვილზე მახვილით ეპასუხნა. მთავრობამ მხოლოდ რამდენიმეთ ჯერჯერობით ნაწილობრივათ შეასრულა ხალხის კატეგორიული ნება და მოღალატეთა და ავაზაკთა თავხედობა იარაღით შეაჩერა. ეს უთუოდ მოულოდნელი იყო ბატონ კომუნისტებისათვის.

მაშ რა ნებავთ ამ ვაჟბატონებს?!

ისინი აჯანყდებიან, ხალხს ზურგში მახვილს ჩასცემენ, ხალხის საუკეთესო შვილებს—გვარდიელებს ტყვიით გულმკერდს გაუგმირავენ, ხოლო მთავრობამ კი უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ დაპატიმრება უნდა გაუბედოს მკვლელს და ამ ავაზაკის მიერ დაობლებულ გვარდიელის ოჯახს გადასახადი გააწეროს, რათა კარგათ გამოკვებოს საპატიმროში „დამსახურებული რევოლიუციონერი«?!

ნურას უკაცრავათ, ასეთ ბრიყვებს ამიერიდან ჩვენში ველარავინ იპოვის. საკმარისია ის ცდა და მწარე გამოცდილება, რომელიც ამ საქმეში უკვე მოიპოვა საქართველოს დემოკრატიამ. ამიერიდან იცოდენ ამ ვაჟბატონებმა, რომ როგორც კი მახვილს აიღებენ ხალხის წინაამდეგ, მახვილითვე გაიგმირებიან. ამ შემთხვევაში ჩვენი ტაქტიკა მხოლოდ სრულიად მკრთალი მიბაძვა იქნება რუსეთის ბოლშევიკებისადმი. ნუთუ ჩრეზვიჩაიკების ჯალათებს რაიმე ეთქმის სოციალ დემოკრატიის სისასტიკის შესახებ!

რაც შეეხება მათ მუქარას, მენშევიკების წინაამდეგ ტერორს ვიწყებთო, იცოდენ, რომ ეს არავის აშინებს და აკრთობს. ამის გამო საქართველოს დემოკრატია ოდნავაც არ გახრის თავის პოლიტიკის ხაზს. ხოლო შავმა ტერორისტებმა კარგათ დაიმახსოვრონ, რომ მათი ტლანქი ხელით ჩამოვარდნილი ჩვენი ამხანაგის თითეული თმა რამდენიმე ათეული თავი დაუჯდებათ.

ფრთხილად! თორემ ხომ იცით სად და ვის ხელში არიან თქვენი მეთაურები?! და თუ საჭირო იქნება იქვე დაბინავდებიან დანარჩენი თქვენი ამყოლ-დამყოლნიც.

## კიდევ სურსათზე

სასურსათო კრიზისზე. კიდევ სურსათზე. განმეორებით და განმეთებით შიმშილზე. შიმშილის საშინელი აჩრდილი მთელ მსოფლიოს დაფარფატებს თავს. ამ აჩრდილს ჩვენსკენაც მოუღერებია თავის ულმობელი ცელი, ამდენ ხანს ჩვენ მხოლოდ ვგრძნობდით, რომ რესპუბლიკას დიდი საფრთხე მოელის მოუსავლობის გამო. ეხლა კი დაწამდვილებით, დაწვრილებით, ციფრებით ვიცით თუ რა დიდი და განუსაზღვრელია ეს საშიშროება. გაზეთებში უკვე გამოქვეყნდა ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის ციფრები მოუსავლობის შესახებ. აღმოსავლეთ საქართველოს და დასავლეთის მარტო სამ მაზრაში მოუსავლობის გამო სასურსათო დეფიციტი თექვსმეტ მილიონ ფუთამდე ადის. დანარჩენი მაზრები ჯერ კიდევ არ არის დაანგარიშებული.

მთელი მსოფლიო გმინავს და წუწუნებს სასურსათო კრიზის უღელ ქვეშ. ავსტრიის დედა ქალაქს, ევროპის ერთ ერთ მშვენებასა და კულტურის ცენტრს ვენას, როგორც ავსტრიის პრეზიდენტი რენერი ამბობს, შიმშილით ამოხოცვა მოელის. მეტათ თუ ნაკლებათ ამგვარ მდგომარეობაშია ევროპის სხვა ადგილებიც. სიძვირისა და სურსათის პრობლემაზე აჩერებს ლოიდ ჯორჯი ქვეყნის ყურადღებას. მთელი მსოფლიოს დღევანდელ ისტორიას ახასიათებს და ქმნის გამოკვების საკითხი. „პური ჩვენი არსობისა“ აი რა აწერია იმ ნიშანს, იმ ალამს, რომლის ქვეშ მიმდინარეობს დღეს თითქმის ყველა ქვეყნის ცხოვრება. რუსეთის უდიდესი ნაწილი ხომ შიმშილში ლაფავს სულს. ეხლა კი სამხრეთ რუსეთიც, ეს ოდესღაც დოვლათიანი და ქვეყნის გამომკვები ბეღელი განსაცდელშია. დობრარმიის პოლიტიკის მეოხებით მთელი უკრაინა და საერთოთ დობროვოლია საშინელი საფრთხის წინაშე დადგა. პროფესორი ანციფეროვი გაზ. „ნოვაია როსიაში“ სწერს, რომ ცენტრალურსა და უკრაინის გუბერნიებში მოუხნავი დარჩა მესამედამდე მიწა. ხარკოვის გუბერნიაში ეგრეთ წოდებული „ტალოკის“ მხოლოდ 3—4 პროც. მოხნული; ხორბლეულობა უკვე აღარ მოიპოება, შვრიაც კი აღარაა; რომ შიმშილი თავიდან ავიცილოთ საჭიროა საზღვარ გარეთ სესხი ავიღოთ და ამერიკაში სათესლე ხორბალი შევიძინოთო. ჩვენ ვფიქრობთ, ვერაფერ ამას დობროვოლია ვერ მოაწყობს. მომავალში სამხრეთ რუსეთის მდგომარეობა აუტანელი იქნება და იმ დროსთვის რომ საერთაშორისო მდგომარეობაც შეიცვალოს და დონყუბან-უკრაინასთან კეთილმეზობლურ განწყობილება დავგირჩეს, ეს ჩვენ სასურსათო კრიზისს მაინც ვერაფერ მალამოს დასდებს.

ბაქოსა და აზერბეიჯანის სადღეისო და საჭირბოროტო კითხვა გახლავთ სურსათის ყოველდღიური გაძვირება. აქედანაც იმედი უსაფუძვლო იქნება. ჩვენთვის სასურსათო კითხვა ეს სეზონის ან ამ წლის საკითხი როდია. ეს საქმე უნდა გახდეს ხანგრძლივი, სისტემატიური და ფართო პოლიტიკის საზრუნავ საგნათ. ამ მხრით დალხინებული არავინაა დღევანდელ პირობებში, მაგრამ საქართველოს მდგომარეობა მოუსავლობის გამო ხომ აუტანელი შეიქნა. ჩვენს მთავრობის წევრებს თითეულს ცალკე და ყველას ერთად ამაზედ უდიდესი საკითხი არ აქვს.

ყოველმა მინისტრმა, როდესაც დილას ყოველდღიურ შრომას შეუდგება, უნდა იცოდეს, თუ რა აკეთოს დღეს ამ სფეროში. და როდესაც შრომას მორჩება და მოსვენებას განიზრახავს, უნდა თავს კითხოს რა გააკეთა მან ამ მხრით დღის განმავლობაში.

როდესაც სპარსეთი საშინლად შიმშილობდა, უნ და დასხმოდა თავს, აღმოსავლეთის დესპოტიის მფლობელს ქსერქსისთვის წლების განმავლობაში კარას კაცს ყოველ დილას უნდა მოეხსენებია „მეფევ, გახსოვდეს ათინა-ო.“

ჩვენმა მინისტრებმა, არა მარტო მომარაგებისა და საგარეო საქმეთა, არამედ ყველამ, თავის სამუშაო მაგიდაზე შემდეგი წარწერა დაიდგას: „მმართველო, გახსოვდეს მოუსავლობა და სურსათი.“

## შენიშვნები

V

„წესიერი ბურჟუაზია“.

სიბუნიონზე კამათს დამფ. კრებაში ბოლო არ უჩანს. ნაციონალ-დემოკრატებმა მიზანს მიაღწიეს. ამ ხელშეკრულობის საჯაროთ გამოტანა, ატეხა კინკლაობის, კამათი უდიერი კილოთი—ყველა ეს ერთად აღებული ის ზომებია, რომელმაც უნდა დააფრთხოს მათი კონკურენტები, დაუკარგოს ნდობა მთავრობის მიერ დადებულ ხელშეკრულებას და ასე შექმნას ისეთი მდგომარეობა, როცა ბურთი და მოედანი უდავოთ და უცილოთ საქართველოს „წესიერ ბურჟუაზიას („ივერიის“ ტერმინია) დარჩება.

ამ „წესიერი ბურჟუაზიის“ სამშობლოსადმი სიყვარულზე უკანასკნელ სხდომაზე დიდ ხანს ლაპარაკობდენ. განსაკუთრებული მფარველობით და ყურადღებით მოეპყრა მათ ფედერალისტების ორატორი ბ. ღლონტი. მან გამოაქვეყნა ერთი წინადადების პროექტი, რომლის გარშემო მთელი საათი იტრიალა და მიუხედავათ პროცენტების გამოანგარიშებაში სკანდალური დაბნევისა, ლამობდა დაემტკიცებია, რომ ადგილობრივი ვაჭრები უფრო ხელსაყრელ პირობებს იძლეოდნენ, ვინემ სიბუნიონი, მარა მთავრობამ მაინც უკანასკნელი აირჩიაო. ნაციონალ-დემოკ. მეტად გაახარა ბ. ღლონტის ასეთმა გამოქომაგებამ, რომელიც, როგორც ვთქვით, ერთთავად აშენებული იყო წაკითხულ პროექტზე. მაგრამ ეს სიხარული ხან მოკლე გამოდგა. ფინანსთა მინისტრმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ღლონტის მიერ წაკითხული პროექტი შეიმუშავა არა ვაჭრებმა, არამედ თვით სამინისტრომ, მარა ვაჭრებმა ხელი არ მოაწერესო.

ამ გვარათ, ფედერალისტების ორატორმა სამინისტროს წინადადება, უარყოფილი ვაჭრების მიერ, იმავე ვაჭრების კუთვნილებათ და სახელით გაასაღა. სხვა ქვეყნების პარლამენტში ასეთი სიყალბის, ასეთი არაკეთილსინდისიერი ოპონენტი ვერ გაბედავდა ტრიბუნაზე მეორეხელ გამოჩენას.

საერთოთ, სიბუნიონზე კამათმა მეტათ აზირებული ხასიათი მიიღო. ის, რაც უდავო უნდა იყოს ყველასათვის—სადაო და საკამათო ხდება და არც არის სურვილი გაგებისა და შეთვისებისა. (?)ა მეცოდებოდა ნ. ელიავა, როცა ის იძულებული იყო აეხსნა ინტერპელიანტების და მათი ამყოლებისათვის თუ რას ნიშნავს მაგ. საკომისიო ხელშეკრულება, მიმდინარე ხარჯებზე ფულის შეტანა, პროცენტების გამოანგარიშება და სხვა ასეთები. მისი საფუძვლიანი სიტყვის შემდეგ მოწინააღმდეგენს თითქოს არაფერი დარჩათ სათქმელი, მარა ისინი მაინც ბლომათ ჩაეწერენ. ეტყობა არ უნდათ გაათავონ ეს ქრიაშვილის ზღაპარი. ეს უნდა მიიღოს მხედველობაში ხელმძღვანელმა ფრაქციამ და ამ უთავბოლო კამათს საზღვარი დაუდოს.

მით უმეტეს მაშინ, როცა მოწინააღმდეგეს სინამდვილის გამორკვევა კი არ აინტერესებს, არამედ დაცვა და ვექილობა თავის პატრონებისა, და ამათ ჯამში გემრიელი ლუკმის ჩაგდება.

ამ ლუკმის ხელში ჩაგდებას „ივერიის“ „წესიერი ბურჟუაზია“ ისედაც კარგათ მოახერხებს. დამფ. კრებას კი სხვაც ბევრი საჩქარო საქმეები აქვს...

განი.

## ჩრდილო კავკასიის თავდაცვის საბჭოს ნოტა

ჩრდილო-კავკასიის თავდაცვის საბჭომ თავისი დიპლომატიური წარმომადგენლების საშუალებით, მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლებს და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საგარეო საქმეთა მინისტრებს შემდეგი ნოტა გადასცა:

# დღეს

ბულგარეთმა ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას, რომლის ძალით უნდა გაანთავისუფლოს ფრაკია, შეამციროს ჯარი 20 ათას კაცამდე. ზარალის ასანაზღაურებლათ გადაიხადოს 2 მილიარდი და 250 მილ. ფრანკი და სხ.

ამერიკის სენატმა თანხმობა განაცხადა მექსიკის საქმეებში ამერიკა იარაღით ჩაერიოს.

ეგვიპტეში ინგლისის საწინააღმდეგო მოძრაობა ძლიერდება

გერმანული პრესის ცნობით ბავარიის პრინცის რუპრეხტის კანდიდატურა პრეზიდენტობაზე წინდაწინ დამარცხებულათ უნდა ჩაითვალოს

ბოლშევიკების ცნობით: საბჭოთა ჯარები დენიკინის ფრონტზე წინ მიიწევს; მახნოელების მოახლოვების გამო როსტოვსა და ტაგანროგს სცლიან; პარიზში გაზეთების მუშათა გაფიცვა გრძელდება; რეველის მთავრობის წინადადებით საბჭოთა რუსეთთან საზავო მოლაპარაკება დაიწყება იურიევში 2 დეკემბერს.

„19 ნოემბერს სოფელ ლევაშში მოეწყო ჩრდილო-კავკასიის თავდაცვის საბჭო, რომელიც მიზნათ ისახავს ხალხის დაცვას მოხალისეთა ჯარის შემოსევისაგან და აღჭურვილია სრული სახელმწიფოებრივი ძალა უფლებით.

ჩრდილოეთ კავკასიის თავდაცვის საბჭოს საჭიროთ მიაჩნია განაცხადოს მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების წინაშე, რომ ბრძოლა ჩრდილოეთ-კავკასიის ხალხთა და მოხალისეთა ჯარს შორის დაიწყო უკანასკნელის მიზეზით და რომ ამ ბრძოლის მოსპობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირენი შესაფერ გავლენას მოახდენენ დენიკინზე, რომელიც ანტანტის მიერ მიცემულ იარაღის საშუალებით ანხორციელებს თავის პროგრამას.

რუსეთის რევოლიუციის პროცესში ჩრდილო-კავკასიის ხალხებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, მოიწვიეს პარლამენტი და აირჩიეს მთავრობა; მაგრამ უკანასკნელმა, დენიკინის შემოსევის გამო, ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა და სამარცხვინოთ მიატოვა ამრჩეველი ხალხი.

დენიკინმა ისარგებლა მთიელთა მთავრობის დაცემით და შემოიყვანა თავისი ჯარები ჩვენ სოფლებში, შეურაცხყო ჩვენი პატიოსნება, გაძარცვა მშვიდობიანი მშრომელი ხალხი და შეეცადა ძველი დესპოტიზმის აღდგენას, რამაც ბუნებრივათ გამოიწვია სახალხო ომი.

თავის მოქმედებას დენიკინი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლათ სთვლის, რაც ნება დართულია მოკავშირეთა მიერ; მაგრამ უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ არა ვცნობთ სხვა მოძღვრებას, გარდა ისლამისა, რომელშიაც მოიპოვება აგრეთვე თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები. გენ. დენიკინმა ისარგებლა მთიელთა და ყაზახთა შორის არსებულ მუდმივ განხეთქილებით და უკანასკნელნი გამოიყენა იარაღათ თავისი დაპყრობითი მიზნების განსახორციელებლათ ისე, როგორც ამას მეფეები სჩადიოდენ კავკასიის დაპყრობის დროს. კავკასიის დაპყრობის დროს ყაზახებმა ჩაიგდეს ხელში მთიელთა მიწები; ჩვენ ვერ დავმალავთ, რომ სწორეთ ეს არის მთავარი მიზეზი ჩვენსა და ყაზახებს შორის არსებულ უთანხმოებისა; მაგრამ დენიკინის ჩარევა არ სპობს ამ უთანხმოებას, არამედ კიდევ უფრო აღრმავებს მას.

თავდაცვის საბჭო აცხადებს, რომ კავკასია რუსეთი არაა და რომ არც ერთ მთიელს არ შეუძლია მოითმინოს დენიკინის შემოსევა ისე, როგორც არ მოითმინა ბოლშევიკების შემოსევა.

კავკასიის მთიელთა დამოუკიდებლობის იდეა, რომელიც შეღებილია მრავალ რიგ თაობათა სისხლით, ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხია. მთიელთა ხალხების მუდმივი მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი განხორციელებული უნდა იქნეს, თუ ჰსურთ კავკასიის მთებში მშვიდობიანობის დამყარება. თუ ის ჭეშმარიტება, რომელიც პრეზიდენტმა ვილსონმა აღიარა ხალხთა დამოუკიდებლობის შესახებ, რაიმე მოსაზრებებით გაუქმებული არ არის, მთიელებს შეუძლიათ იმედი იქონიონ, რომ მოკავშირეები დახმარებას გაუწევენ მათ. იმ ხალხის სახელით, რომელიც დღეს სისხლისაგან იცლება, მე ვითხოვ თქვენგან ჩაერიოთ ჩვენს საქმეში სამართლიანობის დასაცავათ.

ჩრდილო-კავკასიის თავდაცვის საბჭო დაბეჯითებით სთხოვს მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს მიიღონ სასწრაფო ზომები მთიელთა ტერიტორიის განსაწმენდათ მოხალისეთა ჯარებისაგან და დანიშნონ საერთაშორისო კომისია იმ უბედურებათა გამოსარკვევათ, რაც დენიკინის აგრესიულმა მოქმედებამ მიაყენა მთიელებს.

მხოლოდ ასეთ ზომებს შეუძლია დაამშვიდოს შეურაცხყოფილი სინიდისი ჩრდილო კავკასიის მთიელებისა და ბოლო მოუღოს საშინელ სისხლის ღვრას.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, ჩრდილო კავკასიის შეიხ-ულ ისლამი, ალი ხაჯი აკუშინსკი".

## ყუბანის ამბები

(გაზეთებიდან)

რადის 8 ნოემბრის სხდომაზე დღის წესრიგშია: „არსებული მდგომარეობა და გამოსავალი გზა". სიტყვა ეძლევა ტრაცენკოს. ორატორის აზრით არსებული არა ნორმალური მდგომარეობიდან თავის დაღწევა შესაძლებელია.

ჩვენ აქ მოვისმინეთ ავტორიტეტული განცხადება, რომ არ სურთ შელახონ ყუბანის ყაზახობის ძალა-უფლებები. ყუბანში არსებობენ აღმასრულებელი და კანონმდებელი ორგანოები. უკანასკნელი არ არის შეზღუდული, ის თითქმის თვითმპყრობელია და თვითმპყრობელობა კი არ არის კარგი ქვეყნისათვის. აღმასრულებელი ძალა უფლება შეზღუდულია რადის მიერ და ეს კი საზიანოა. ჩვენი მთავრობა და ჯარების ატამანს დამოუკიდებელი უნდა იყვნენ, ატამანს უფლება უნდა ჰქონდეს საკანონმდებლო პალატის დათხოვნის, ატამანი არავითარ პასუხს არ უნდა აგებდეს რადის წინაშე, მთავრობა კი ვალდებულია რადის წინაშე პასუხი აგოს. მთავრობას უფლება უნდა ჰქონდეს თანახმად 57 მუხლისა განოსცეს კანონები იმ დროს, როდესაც რადის სესია შეწყვეტილი იქნება.

კაპლანი. ორატორი წინადადებას იძლევა შეტანილ იქნას დებულებაში შემდეგი მუხლი: საოლქო რადა იჭერს უფლებ საკანონმდებლო რადის ალაგს და ხდება ერთადერთ საკანონმდებლო ორგანოთ ოლქში; ატამანის ასარჩევათ კი აირჩევა საატამანო რადა.

რადგანაც კაპლინმა არ აღნიშნა დასახელებულ რადების შემადგენლობა, ამ საკითხს ეხება რადის წევრი ფილიმონოვი. ძველი ტერმინოლოგიის მიხედვით, წინანდელ საკანონმდებლო რადის მაგივრათ იქნება ახალი საოლქო რადა, საოლქოს ადგილს კი—საატამანო. რომ მუშაობა არ შეფერხდეს, საოლქო რადის წევრთა რიცხვი 100—120 კაცით უნდა განისაზღვროს; საოლქო რადას გადაეცეს საკანონმდებლო რადის ყველა უფლებები გარდა ატამანის არჩევისა. რადის კანონი ისეთივე იქნება, როგორც განზრახული იყო გამოცემული ყო საკანონმდებლო რადაში არჩევნებისათვის. საოლქო რადა ირჩევა 3 წლის ვადით.

ყუბანის ატამანს არ ჰქონდა რადის გირეკის უფლება, სანამ უკანასკნელი ბიუჯეტს არ განიხილავდა, მაგრამ რადას არც ერთხელ არ განუხილავს იგი. ატამანი ვალდებულია მოიწვიოს გარეკილი რადა არა უგვიანეს 2 თვისა. თუ ამ შემთხვევაშიაც რადას უნდობლობას გამოუცხადეს, მაშინ მთავრობა უნდა გადადგეს.

კოროჩინი მოითხოვს, რათა მიეცეს ატამანს სრული უფლება რადის დათხოვნის საკითხში.

ბოლოს რადამ შემდეგი შინაარსის დადგენილება გამოიტანა: საოლქო რადას ყუბანის ოლქი წარმოდგენილი აქვს, როგორც მოკავშირე მოხალისეთა ჯარისა და გაერთიანებული ერთ მთლიან რუსეთში დამფუძნებელ კრების საშუალებით. ყუბანის უახლოეს მიზანს შეადგენს სამხრეთ რუსეთის მთავრობის შედგენა, რომელშიაც ყუბანი შევა, როგორც თვითმართველი ორგანო. დადგენილების მუხლები ასეთია: 1) საკანონმდებლო რადის ფუნქციები გადადის საოლქო რადის ხელში, რომელიც მოიწვევა განსაკუთრებულ კანონის ძალით; 2) ატამანის ასარჩევათ ირჩევა განსაკუთრებული საატამანო რადა, აგრეთვე კერძო კანონის თანახმათ; 3) დროებით, ახალ ატამანისა და საოლქო რადის არჩევამდე ძალა უფლება ძველ საოლქო რადას ეკუთვნის; 4) ყუბანის ოლქის მთავრობა პასუხისმგებელია საოლქო რადის წინაშე; 5) ჯარის ატამანს, თუკ ის არ ეთანხმება მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადებას, უფლება აქვს დაითხოვოს რადა, მაგრამ იმ პირობით, რომ მოიწვიოს ახალი არა უგვიანეს ორი თვისა. თუ ახალმა რადამაც მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა, მაშინ უკანასკნელი უნდა გადადგეს; 6) მთავრობას არ აქვს უფლება 57 სტატიის ძალით რაიმე ცვლილება შეიტანოს ყუბანის მხარის მართვა გამგეობის დებულებაში.

**დენიკინელთა გაზეთების აზრი.**

სახალხო სოციალისტების—პეშეხონოვის და მიაკოტინის გაზეთი „პარუსი" (როსტოვში გამოდის) სწერს: „არა ერთხელ გვქონია შემთხვევა გამოგვეთქვა ჩვენი შეხედულება ყუბანის კონფლიქტის შესახებ. ჩვენი პოზიცია ამ საკითხში გარკვეული და ნათელია. მოვალეთ ვთვლით თავს აღვნიშნოთ, რომ ზომები, რომლებიც მიმართული იქნება ამ კონფლიქტის გადასაწყვეტად საზღვარს არ უნდა გადასცილდეს. მთავარია არა რეპრესიები და დასჯა, არამედ განსაკუთრებული ფსიქოლოგიური გარდატეხის მოხდენა. ელემენტარული კეთილ გონიერება და პოლიტიკური ანგარიში გვავალებს ჩვენ, რომ შვილდ ისარი ძლიერ არ დავჭიმოთ და გული არ დავუკოდოთ მათ, ვისთანაც ერთად მოგვიხდება დიდი საქმის გაკეთება, სახელდობრ,—დიდი რუსეთის აღდგენა. ზედმეტი მსხვერპლის გაღებას საქმე არ მოითხოვს".

„პრიაზოვსკი კრაი"-ს აზრით ყუბანის საკითხი ეს კერძო კითხვა არ არის, ეს საერთო საკითხია, რომლის გადაწყვეტაც მოგვიხდება ჩვენ რუსეთის სხვა დასხვა მხარეებში. უფლებრივ საკითხის შესახებ ლაპარაკი, სწერს გაზეთი, ჩვენ მოგვიხდება მაშინ, როდესაც დამფუძნებელი კრება გამოიმუშავებს რუსეთის სახელმწიფოს ძირითად კანონებს. ეხლა შეგვიძლიან მხოლოდ ჩვენი სურვილების შესახებ ვიმსჯელოთ. საჭიროა მივიღოთ ერთი პრინციპი: ყველა უნდა დავუმორჩილოთ ფრონტის მიზნებს, მთლიან ფრონტს, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

დადგა გადამწყვეტი ჟამი რუსეთისათვის და მასთან ერთად მისი ნაწილებისთვის. გამოვიდა დენიკინის ცნობილი ბრძანება, რომელიც „არღვევს ჩვენის აზრით ყუბანის კონსტიტუციას". რაშია საქმე? განა შესაძლებელია ლაპარაკი კონსტიტუციაზე იმ დროს, როდესაც სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს? არ არის ისეთი დრო, როდესაც შესაძლებელი იყოს უფლებრივ ნორმებზე ლაპარაკი. კონსტიტუციისათვის ბრძოლა მოგვიხდება მაშინ, როდესაც ჩვენ გვექნება იგი. კონსტიტუცია გვექნება მაშინ, როდესაც აღსდგება მთლიანი რუსეთი".

ბაქოს „გოლოს რაბოჩი" სწერს: „ყუბანის „სამოსტიინიკების" ავანტიურა დამთავრდა მათი სრული დამარცხებით. განსაკუთრებით ძვირფასი და ყურადსაღებია, რომ გენ. დენიკინის გამარჯვება ყუბანში რუსეთის მტრებზე არ არის უხეში სამხედრო ძალის ნაყოფი. ეს არ არის რადის გარეკვა ხიშტებით, არ არის ძალა-უფლების ხელში ჩაგდება შეთქმულობით. რადამ თითონ გამოუცხადა მაკარენკოს უნდობლობა. იმ რადამ, რომელმაც რამდენიმე დღის წინად ის თავმჯდომარეთ აირჩია. აშკარა გახდა, რომ ბიჩის, მაკარენკოს და სხვათა შეთქმულება რუსეთის წინააღმდეგ არის ერთი მუჭა ხალხის საქმე, რომელნიც არ გამოხატავენ საერთოდ ყუბანის მისწრაფებას.

## დეპეშები

საქართველოს დეპეშათა სააგენტო

29 ნოემბერი.

**ფრანგული პრესის ცნობები**

27 ნოემბერს დილით ნეილის მუნიციპალიტეტის შენობაში ერთის მხრით მოკავშირე სახელმწიფოთა დელეგატებმა კლემანსოს თავმჯდომარეობით და მეორეს მხრით ბულგარეთის დელეგაციის თავმჯდომარე სტამბოლინსკიმ ხელი მოაწერეს 4 დიპლომატიურ აქტს: საზავო ხელშეკრულება მოკავშირე სახელმწიფოთა და ბულგარეთს შორის; საზავო ხელშეკრულების პირობას და აღსრულების წესრიგის ოქმს (აღსრულების ოქმი); იმ ოქმს, რომელიც რუმინიასა და სერბიას უფლებას აძლევს 8 დღის განმავლობაში საზავო ხელშეკრულება დასდონ, საბერძნეთსა და ბულგარეთს შორის თავისუფალ ემიგრაციის კონვენციას. ხელშეკრულების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პუნქტები შემდეგია: ბულგარეთმა უნდა გაანთავისუფლოს ფრაკია, გახსნას თავისუფალი მიმოსვლისთვის სტრუმიცა და სერბიის ჩრდილო დასავლეთ საზღვართან ტერიტორიის მცირე ნაწილი, შეამციროს ჯარი 20,000 კაცამდის და ზარალის ასანაზღაურებლათ გადიხადოს 2 მილიარდი და 250 მილიონი ფრანკი

უნგრეთის ახალი მთავრობა მედგრად შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას. სერ ჯორჯ კლერკი გაემგზავრა დასავლეთ უნგრეთში, რათა ადგილობრივ გაეცნოს მდგომარეობას და შესაფერი მოხსენება წარუდგინოს პარიზში უმაღლეს საბჭოს.

**ამერიკულ პრესის ცნობები.**

(ლიონის რადიო სადგური).

. . . დასაწყისი არ მიგვიღია. ეგვიპტელები უკმაყოფილოთ ელიან ლორდ მილნერის მისიის მოსვლას, რომელიც ემზადება ეგვიპტე მართოს ისე, როგორც ინგლისის კოლონია. დეე, გამოგზავნოს საზავო კონფერენციამ საერთაშორისო კომისია, რათა ადგილობრივ გაეცნოს მდგომარეობას. აქ 14 მილიონი ეგვიპტელია. მათ გადასწყვიტეს არასოდეს არ დაემორჩილონ ინგლისის ბატონობას. ჩვენ არ ვიმუქრებით ინგლისს, რადგანაც უიარაღო და უორგანიზაციონი ვართ და როგორც მშვიდობიან ხალხს ჩვენ არ შეგვიძლია ბრიტანიის ხიშტებსა და ტყვიისმტყორცნელებს წინ აღვუდგეთ. მაგრამ ჩვენ გავუწევთ ინგლისის ტირანიას პასიურ წინააღმდეგობას დემონსტრაციებით, გამოსვლებით, საჯარო მიტინგებით და ყველაფერ იმით, რაც ნათლად დაამტკიცებს, რომ ჩვენ მათ ვერ დავემორჩილებით. ინგლისმა უნდა მოსპოს ეგვიპტელთა მოდგმა, თუ მან ეგვიპტელებში ეროვნული გრძნობის აღმოფხვრა დაიწყო ვინტოვკებით და ტყვიისმფრქვევლებით. საად ზაღლულმა 22 ნოემბერს პრეზიდენტ ვილსონს მიმართა ამ პროტესტით. იგი ვილსონის ყურადღებას აქცევს საზავო ხელშეკრულების იმ მუხლს, სადაც ეგვიპტის გვარ ეროვნებათა ინტერესების დაცვაზე ლაპარაკი.

**გერმანული პრესის ცნობები**

ნოემბრის 16 სერბიის ჯარი სტრუმიცის ოლქში შევიდა. სერბიის სამოქალაქო მთავრობამ შინაური მართვა გამგეობა უკვე თავის ხელში აიღო. ბულგარეთის პასუხისმგებელი პირები თანამდებობიდან გაანთავისუფლეს.

გერმანული პრესა, არჩევს რა ბალტიის ავანტიურის შედეგებს, იმ ფაქტზე ჩერდება, რომ აფიცრების მიერ წარმოებული პოლიტიკა ერთად ერთი მიზეზი იყო გერმანელ ჯარისკაცთა საზღვრებისაკენ გაქცევისა. ასეთი დამცირება შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ იმიტომ, რომ დღემდის გერმანელ აფიცრებს არა სურთ პოლიტიკურ ხელმძღვანელებს დაემორჩილონ.

კოპენჰაგენში შვეციის წარმომადგენელი ლიტვინოვთან მოლაპარაკების დაწყებას ფიქრობდა რუსეთში დანიის ქვეშევრდომების სურსათით უზრუნველყოფის შესახებ, მაგრამ დანიის მინისტრმა შტაუნინგმა აუწყა მას, რომ ინგლისელებს არ სურთ გარდა ინგლისელებისა სხვა ვინმემ აწარმოოს მოლაპარაკება.

გაზეთების ცნობით ამერიკის სენატმა თანხმობა განაცხადა მექსიკის საქმეებში ამერიკა იარაღით ჩაერიოს. ამერიკის ჯარი ყოველი შემთხვევისათვის მზად არის.

გერმანიის გაზეთებს ბავარიის პრინცის რუპრეხტის კანდიდატურა რესპუბლიკის პრეზიდენტობაზე წინდაწინ დამარცხებულად მიაჩნიათ: სამეფო გვარიდან როგორი კანდიდატურაც არ უნდა იყოს წამოყენებული, მის წინააღმდეგ წავა ყველა სოციალისტები და ლიბერალური ამომრჩევლების უმეტესობა.

**ბოლშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი.** ნოემბ. 28. სამხედრო ცნობა. ნარვის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლის შემდეგ რამდენიმე სოფელი დაიჭირეს. პსკოვის რაიონში სროლაა. დასავლეთ დვინაზე მზვერავები მოქმედებენ. კიევის რაიონში ფასტოვის ხელში ჩასაგდებათ ბრძოლაა. სუჯის სამხრეთით ბრძოლაა. ბელგოროდის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა ობოიანის სამხრეთით 15 ვერსზე წინ წაიწიეს და სადგური რჟავა აიღეს. სადგ. ლისკის სამხრეთით 10 ვერსზე ბრძოლაა. ნოვოხოპერის სამხრეთ დასავლეთით 40—45 ვერსზე ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი დაიჭირა. წამოვიყვანეთ ტყვეები. ჩვენ უსტბუზულუკის სლაშჩევსკის ხაზზე გამოვედით, დონსა და ვოლგას შუა ჩვენი ჯარი ბრძოლით სოფ. არკანცევის ხაზზე გამოვიდა და ცარიცინის ჩრდილო - აღმოსავლეთით 35—45 ვერსზე წინ წაიწია და ცარიცინისაკენ ენერგიულად უტევს. კოკეტჩავის რაიონში ჩვენმა ჯარმა აკმოლინსკის ჩრდილოეთით 110 ვერს. ფრონტზე წინ წაიწია. ციმბირის მაგისტრალზე ჩვენ კანსკის სამხრეთ-დასავლეთით 90 ვერსზე მივაღწიეთ. რკინის გზის ორივე მხარეზე ჩვენი ჯარი სად. კარაჩს უტევს.

**ბელოოსტროვი.** ბრიტანიის სოციალისტური პარტიის ორგანო „პრიზივ" აღნიშნავს მუშათა კლასისთვის იმ საშიშროებას, რომელიც შეიძლება იქნეს გამოწვეული ინგლისის მთავრობის მიერ მუშათა მოძრაობის საწინააღმდეგოდ, ეგრეთ წოდებულ „სამოქალაქო გვარდიის" შედგენის გამო. ინგლისში კონტრ-რევოლიუცია იარაღს ლესავს. პარტია მოუწოდებს მუშებს კონტრრევოლიუციონურ გვარდიის საწინააღმდეგოთ შეადგინონ მუშათა გვარდია.

**ბელოსტოკი.** 24 ნოემბ. ლონდონის გაზეთი „ტაიმსი" სადულის გასამართლების დაწვრილებით ცნობებს იძლევა. საბრალმდებლო ოქმის სიტყვით სადული ავრცელებდა ფურცლებს, რომელშიც ამტკიცებდა, რომ საფრანგეთის აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ რევოლიუციის საშუალებით, რომელიც რუსეთის რევოლიუციას მხარს დაუჭერს. ის ურჩევდა საფრანგეთის სამხედრო ტყვეებს წითელ ლაშქარში ჩაწერას. სადულს ბრალს სდებენ აგრეთვე იმაში, რომ ის თითქოს წავიდა გერმანიაში, სადაც ურჩევდა შეექმნათ მოსკოვის მსგავსი ბოლშევიკური აკადემია.

**ლიონი.** ნოემბ. 27. რადგან პარიზის გაზეთების მუშების გაფიცვა გრძელდება, ფიქრობენ დღეში ოთხი გაზეთის გამოშვებას. №-ის არმიის შტაბი. გამოქცეულთა სიტყვით მახნოელების მოახლოვების გამო როსტოვის და ტაგანროგის ევაკუაცია ახდენენ

**მოსკოვი.** ნოემბრის 28. საგარეო საქმეთა ახალმა კომისარმა რეველის მთავრობისაგან ნოემბრის 27 შემდეგი რადიო დეპეშა მიიღო: გაუწყებთ თქვენ, რომ ჩვენი შეხვედრის დღეთ ზავის ჩამოგდების შესახებ მოსალაპარაკებლად დანიშნულია 2 დეკემბერი იურიევში, სადაც ამ დღისთვის გაემგზავრებიან ჩვენი დელეგატები. შესაფერი ცნობა გაეგზავნა ლატვიის და ლიტვის მთავრობებსაც. თქვენი დელეგატებს პსკოვ-იზბორსკის გზატკეცილზე გადასასვლელად ყოველივე ზომებია მიღებული. შეგვატყობინეთ რამდენი დელეგატის გამოგზავნას აპირებთ და როდის გამოივლიან ფრონტზე. გარეშე საქმეთა მინისტრი ბირკი.

## ახალი ამბები

„მლექის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოების" დამფუძნებელი კრება შესდგება დღეს. ექიმთა საინიციატივო ჯგუფი მოუწოდებს მოქალაქეებს მიიღონ მონაწილეობა ამ ფრიად მნიშვნელოვან საზოგადოების დაარსებაში.

✦ **ტფილისის ებრაელთა ეროვნულმა** საბჭომ მოწოდებით მიმართა საქართველოში მყოფ ებრაელებს. მოწოდებაში აწერილია მთელი ის ტრაგედია, რომელსაც განიცდის ებრაელთა მასსა უკრაინაში და ველიკორუსიაში იქ მომხდარი დარბევის გამო ეროვნული საბჭო მოუწოდებს საქართველოს ებრაელებს, რომელნიც მშვიდობიან პირობებში ცხოვრობენ, შეიგნონ თავიანთი მოვალეობა თავიანთი ძმების წინაშე და მით რეალიზაცია უყონ ეროვნულ საბჭოს იმ დადგენილებას, რომლის ძალით თემის წევრთა შორის უნდა შეიკრიბოს ერთი მილიონი მანეთი. ეს ფული მოხმარდება ებრაელთა ობლებს. ფულის შეკრების დღეები (1—8 დეკემბერი) გამოცხადდება ეროვნული გლოვის დღეებათ.

✦ **სიკვდილით დასჯა.** ჩოხატაურის ამბოხებაში მონაწილეობისათვის სამხედრო საგანგებო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა შემდეგ პირთ: ანდრო მიხეილის ძე ახალაძეს, ფილიპე გიორგის ძე გოგოლაძეს, თეოფილე გიორგის ძე თედორაძეს, ჰარმენ ბეჟურის ძე მამალაძეს, ავთანდილ ერანიკოს ძე მამალაძეს, ბენიამინ ალექსანდრეს ძე ბერიძეს, ტარასი გერასიმეს ძე მინდაძეს და მიხეილ ბეგლარის ძე ბერძენიშვილს. განაჩენი უკვე სისრულეშია მოყვანილი.

✦ **ყაჩაღობა ბორჩალოს მაზრაში.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ბორჩალოდან ატყობინებენ, რომ ნეიტრალურ ზონიდან გადმოდიან ყაჩაღები და მცხოვრებლებს ოთხფეხ საქონელს სტაცებენ. 20 ნოემბერს ეკატერინოვკის რაიონში ქართულ სოფელ ბალიჩიდან 400 სული ცხვარი გაიტაცეს; სომხებს ყაჩაღები ხელს არ ახლებენო.

✦ **პირდაპირი დამატებითი მატარებელი ტფილისიდან ბათუმამდე.** გზათა დეპარტამენტის დირექტორის განკარგულებით, ტფილისიდან ბათუმამდე ინიშნება პირდაპირი დამატებითი მატარებელი (№ 7—8). მატარებელი ტფილისიდან გავა საღამოს 10 საათზე. ადგილები უპლაცკარტოა.

✦ **„ეშმაკის მათრახი".** გამოვიდა „ეშმაკის მათრახის" პირველი ნომერი შემდეგი შინაარსისა: აქტი „ეშმაკის მათრახის" დამოუკიდებლობისა.—მოწინავე—რეკვიზიცია, ეშმაკისა. „პოეტები", თაგუნასი. დეპეშები,—რადიო დეპეშები.—ქრონიკა.—როგორ გავხდი სპეკულიანტი, თაგუნასი.—სალამი (ლექსი, ტუქსიშვილისა —რესკრიპტი ო. ი. შმერლინგს.—ნოტა თანამშრომლებს და 7 კარიკატურა. №-ის ფასი 6 მან.

✦ **სახალხო გვარდიის კრება.** კვირას, 30 ნოემბერს, ერთობის უბნის კლუბში დანიშნულია ერთობის უბნის სახალხო გვარდიის საზოგადო კრება. გასარჩევია შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 2) მოხსენება შტაბის და მიმდინარე კითხვები. რადგან ეს მოხსენებები მეტად დიდმნიშვნელოვანია და რადგანაც მის გარჩევაზე აუცილებელია დასწრება ყველა გვარდიელებისა, სთხოვენ ამხ. გვარდიელებს აუცილებლად მივიდნენ.

**კ რ ე ბ ე ბ ი**

დღეს 30 ნოემბერს, დილის 10 ს. ვერის მუშათა კლუბში (ოლღას ქ. 29) შესდგება მე 4 რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის საზოგადო კრება.

— დღეს 30 ნოემბერს საღამოს 5 საათზე მეორე რაიონის კოლექტივის ბინაზე შესდგება ამავე რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგ. კოლექტივის ორიგი კრება.

## დამფუძნებელი კრება

28 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ს. მდივანი.

**დეკრეტი მასწავლებელთა ჯამაგირების შესახებ.**

**ნ. იმნაიშვილის** მოხსენებით უკმათოდ მიღებულ იქნა დეკრეტი ყველა ტიპის სკოლის მასწავლებელთათვის ჯამაგირის 100 პროცენტით გადიდების შესახებ. ამ დეკრეტის ძალით გიმნაზიის მასწავლებელს მიეცემა თვეში 3,400 მ., უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებელს 2,820 მ. [illegible] სკოლის მასწავლებელს კი 1600 მ. ამ მომატებით გამოწვეული [illegible] თვიურათ 6,228,000 მ.

**დ. ონიაშვილის** მოხსენებით მოხდა ზოგადი განხილვა კანონ პროექტისა— ნავთსადგურების გადასახადთა ახალი ნიხრის დაწესების შესახებ.

**მსჯელობის გაგრძელება ეროვ. დემ. შეკითხვაზე.**

**ზ. გვაზავა** (ნ. დ.) ამტკიცებს, რომ უმთავრესი მოტივი ნაც. დემ. შეკითხვისა იყო უფლებრივი საკითხი. მთავრობას არ ჰქონდა, ამბობს ის, უფლება ასეთი ხელშეკრულება დამფუძნებელი კრების გარეშე დაედო, ვინაიდან ეს ხელშეკრულება ეხება საბიუჯეტო უფლებას. საბიუჯეტო უფლება კი საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციაში შედის. აი ამიტომ ჩვენი ფრაქცია წინააღმდეგია ამ ხელშეკრულების.

**თ. ღლონტი** ვრცელ სიტყვაში ცდილობს დაამტკიცოს, რომ „სიბუნიონ"-თან დადებული ხელშეკრულება საზარალოა. ამ მიზნით ორატორი ადარებს ერთი მეორესთან ქართველ ვაჭართა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ პირობის პროექტს (რომელიც ბოლოს, როგორც მინისტრმა განაცხადა, აღმოჩნდა საგარეო სამრეწველო სამინისტროს პროექტი, რომელზედაც ხელის მოწერაზე უარი განუცხადებია ქართველ ვაჭართა ჯგუფს) და საბუნიონთან დადებულ ხელშეკრულებას. რიგი მივიდა იმ მუხლებზე, სადაც პროცენტებზეა ლაპარაკი. ორატორი უსაყვედურებს წინეთ მოლაპარაკეთ პროცენტების ცუდათ გამოანგარიშებას და ამბობს, რომ „სიბუნიონი" თხოულობდა 20 პროცენტს, ქართველ ვაჭართა ჯგუფი კი 15 პროცენტს. (არსენიძე ადგილიდან: აბა წაიკითხეთ, თუ რომელ თანხიდან თხოულობდა ერთი 20 პროცენტს და მეორე კი—15?). „სიბუნიონი" თხოულობდა 20 პროცენტს წმინდა მოგებიდან, ხოლო ქართველ ვაჭართა ჯგუფი საქონლის ყიდვაზე დახარჯულ თანხიდან 15 პროცენტს. (ოო, ისმის ხმები, ეს კი სულ სხვა არის; ნ. ნიკოლაძე: „ეხლა კი შეტოპა!). ორატორი განაგრძობს შედარებას დანარჩენი მუხლებისა. (ნ. ნიკოლაძე ადგილიდან: რამდენსაც მეტს ილაპარაკებთ, უარესია.) დასასრულ ორატორი ასკვნის, რომ ასეთი საზარალო პირობები მთავრობამ არ უნდა დადოს; საჭიროა ასეთ შემთხვევებში მთავრობამ გამოიყენოს საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორიც არის კოოპერატივები და სხვა.

**ლ. შენგელაიაც** ილაშქრებს წინააღმდეგ ხელშეკრულებისა.

**ნ. ელიავა** (ს. დ.) ამტკიცებს, რომ ამ ხელშეკრულების დადებით მთავრობას არავითარი უფლება არ დაურღვევია. ვერც ერთმა ორატორმა ვერ მიუთითა მთავრობას კონკრეტიულად იმ კანონზე, ან ნორმაზე, რომელიც ვითომდა დარღვეულია. შ. მესხიშვილმა აქ განაცხადა, რომ ფორმალურათ მთავრობას არავითარი უფლება არ დაურღვევია, მაგრამ ზნეობრივათ ის ვალდებული იყო ეს ხელშეკრულება დამფუძნებელი კრებისათვის წარმოედგინა დასადასტურებლათო. ზ. გვაზავამ წინააღმდეგ თავის სურვილისა აქ მშვენიერათ დაამტკიცა, რომ არც ფორმალურათ, არც ზნეობრივათ მთავრობა არ იყო ვალდებული ეს ხელშეკრულება დამფუძნებელი კრებისათვის წარმოედგინა. (გ. გვაზავა ადგილიდან: საბიუჯეტო უფლება? საბიუჯეტო უფლება აქ არაფერ შუაშია. მთავრობას ამ ოპერაციისათვის ფული აქვს. მთავრობას აქვს 2 კანონი: ერთი დეკრეტი 50 მილ. მან. მთავრობის განკარგულებაში გადადების შესახებ სურსათ სანოვაგის შესაძენათ და მეორე კიდევ—50 მილ. მან. ფონდი, ამას წინათ რომ გავიღეთ. აქ თუ უბრალო ჯამაგირების მომატების შესახებ მთავრობა დეკრეტით შემოდიოდა, ეს იმის დამამტკიცებელია, რომ მთავრობა საბიუჯეტო უფლების ნიადაგზე სდგას და ამ ხელშეკრულებას კი საბიუჯეტო უფლებასთან საერთო არაფერი აქვს, ვინაიდან ჯამაგირი იხარჯება, ხოლო ამ საქონლის ოპერაციაზე გადებული ფული—არის საბრუნავი თანხა, რომელიც ისევ ხაზინაში შევა (შეიძლება დიდი მოგებით). თქვენ უნდა არჩევდეთ ამ განსხვავებას.

შემდეგ ორატორი ამტკიცებს, რომ „სიბუნიონს" აქედან საქონელი მიაქვს საკომისიოთ გასაყიდათ (ღლონტი: სად სჩანს ეს?) თქვენ ეს არ გესმით, ხოლო ამათ კი (მიუთითებს ნაც. დემოკრატებზე) ეს კარგათ იციან.

აქ კამათს იწვევს აგრეთვე ის მუხლი, სადაც სწერია, რომ ჩვენი ფული შეტანილ იქნება „სიბუნიონის" ბანკში ჩვენი მთავრობის სახელდახელო ანგარიშზე. ამ ფულის გამოტანა მთავრობას შეუძლია ყოველ დროს, როცა ამას მოისურვებს, ასეთია სახელდახელო ანგარიშზე მყოფ თანხის წესი თქვენ კი ეს არ გესმით (მიმართავს სოც. ფედ.), ამათ კი (უჩვენებს ნაც. დემ.) ეს კარგათ იციან. (ალ. ასათიანი: იქ სწერია, რომ ანგარიშის გასწორება ექვსი თვის შემდეგ მოხდებაო). ანგარიშის გასწორება—ბალანსის გამოყვანა სულ სხვა არის და სახელდახელო ანგარიშით ფულის მიღება კი სხვა. ეს თუ თქვენ არ იცით, მოიკითხეთ იმ წრეებში, რომლებსაც თქვენ აქ წარმოადგენთ.

...შემდეგ ორატორი ეხება იმ პროცენტს, რომელიც მოხსენებულია ხელშეკრულებებში და ამტკიცებს, რომ „სიბუნიონთან“ დადებულ ხელშეკრულებას ამ მხრით გაცილებით უფრო ...ო სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის, ...მე ქართველ ჯგუფთა მიერ წარმოდგენილ წინადადებებს.

**თავმჯდომარე:** უკვე სამი საათია. ...ორ გნებავთ, დავხუროთ კრება თუ გავაგრძელოთ კიდევ ერთი საათით.

**...მაჭავარიანი** (ნ. დ.) წინადადება აქვს, რომ კრება დახურულ იქნას, ...იდან შესაძლებელია, ამბობს ის, ...რე სხდომამდე ლონდონიდან დეპეშა ...ვიდესო.

**გრ. ურატაძე** (ს. დ.) მე წინადადება მომაქვს, რომ სხდომა გაგრძელდეს კიდევ ერთი საათით. ლონდონიდან დეპეშის მოსვლას ჩვენი ფრაქციისათვის ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. შეკითხვას პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს: მთავრობამ ...რთლა გადადგა თუ არა რესპუბლიკისათვის რაიმე საზიანო ნაბიჯი. ეს ...ცილებლათ გამორკვეულ უნდა იქნას.

ურატაძის წინადადება მიღებულ იქნა.

**ნ. ელიავა** განაგრძობს სიტყვას. ორატორი ამტკიცებს, რომ ხელშეკრულება „სიბუნიონთან“ დადებული ჩვენი რესპუბლიკისათვის სრულიად არ არის საზარალო. არც არავითარი უფლება დარღვეულია მთავრობასო (ტაში).

შემდეგ ლაპარაკობს ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი კ. კანდელაკი, რომელიც დაწვრილებით არჩევს ყველა ხელშეკრულების წინააღმდეგ წამოყენებულ საბუთებს და აბათილებს რა მათ, ასკვნის: რომ „სიბუნიონთან“ დადებული ხელშეკრულობა დღევანდელ ეკონომიურ პირობებში მეტად სასარგებლოა ჩვენი ხაზინისათვის და ის სჯობია ყველა იმ ხელშეკრულებებს, რომელიც სხვა მწარმოებლებმა წარმოადგინეს. ის ხელშეკრულების პროექტი კი, რომელიც აქ ბ. ღლონტმა წაგიკითხათ, ჩვენი რედაქციით წარდგენილი ქონდა კონტრაგენტებს, მაგრამ ამაზე მათ ხელი არ მოაწერესო.

# ბრძანება

რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

№ 275.

26 ნოემბერი, 1919 წ. თფილისი.

ლაგოდეხში ბოლშევიკურ ბრბოების გამოსვლის დროს, ამ წლის 23 ოქტომბერს, მე-8 ათასეულის უფროსი ლეიტენანტი გამყრელიძე და მასთან სამი ჯარისკაცი გარშემორტყმულ იქნენ ბრბოებით, რომლებიც იარაღის ჩაბარებას მოითხოვდენ; უფროსმა ლეიტენანტმა გამყრელიძემ არა თუ არ ჩააბარა იარაღი, არამედ—უბრძანა ჯარისკაცებს აეტეხათ აჯანყებულებისთვის სროლა. რის შედეგათაც ორივე მხრიდან აღმოჩნდენ დახოცილები და დაჭრილები. სხვათა შორის თვით უფროსი ლეიტენანტი გამყრელიძეც დაჭრილი იქმნა. ჭრილობის მიუხედავად უფროსი ლეიტენანტი გამყრელიძე აჯანყებულებს არ დანებდა და უბრძანა ჯარისკაცებს მოგერიება განეგრძოთ სროლით. ასეთი თავგანწირული სამსახური სამშობლოს წინაშე, სიცოცხლის დაუზოგველად სამშობლოს საკურთხეველზე მიტანა, ახალგაზრდა რესპუბლიკის საკეთილდღეოთ და ასაყვავებლად, არ შეიძლება დავიწყებული იქნას საქართველოს ერთგული შვილების მიერ. უფროსმა ლეიტენანტმა გამყრელიძემ თავისი საგმირო ღვაწლით დაამტკიცა, რომ ჩვენი რესპუბლიკა ძლიერია სულით და რწმენით და მტრები მისთვის საშიში არ არიან. უფროსს ლეიტენანტს გამყრელიძეს და მასთან მყოფ ჯარის კაცებს ვუცხადებ მადლობას და დარწმუნებული ვარ, რომ ისინი მომავალში სახელოვნად განაგრძობენ ახალგაზრდა რესპუბლიკის დაცვას ყოველგვარ მტრებისაგან.

სამხედრო მინისტრი **რამიშვილი.**

# საქართველოში მცხოვრებ ყველა ქალებს

ამხანაგო ქალებო, სამშობლო განსაცდელშია! ანარქიის ზვირთები ლამობენ დაამსხვრიონ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა და წაღეკონ სისხლით მოპოვებული თავისუფლება. დღეს დაირაზმენ ყოველი მხრიდან ბნელი ძალები და აზვირთებულ ზღვასავით ემუქრებიან ჩვენს არსებობას. საქართველოს მთელი დემოკრატია დადგა ფეხზე, იგი საკუთარი გულ-მკერდით შეებრძოლა მტერს და ამცნო ქვეყანას, რომ ის დემოკრატია, რომელიც გაწაფულია ბრძოლაში და რომელიც სიცოცხლეს სწირავდა თავისუფლების მოპოვებისთვის, ადვილად არ დასთმობს რევოლიუციის მონაპოვარს. საქართველოს დემოკრატია თავის შეუდრეკელი და გასალკლდევებული ნებით მრავალჯერ იხსნა ჩვენი ქვეყანა დაღუპვისაგან, დღესაც იგი გალომებული იცავს მოპოვებულ თავისუფლებას.

ამხ. ქალებო! რევოლიუციის მიერ მონაპოვარი თავისუფლების განმტკიცება და დაცვა განსაკუთრებით ჩვენთვის, ქალებისთვის, არის ძვირფასი. რუსეთის რევოლიუციამ დაამსხვრია საუკუნოებით გაჭედილი მონობის ჯაჭვი და გაანთავისუფლა მშრომელი ხალხი, მანვე გაანთავისუფლა და გაათანასწორა უფლებრივათ ქალი მამაკაცთან და მიანიჭა მრავალი ისეთგვარი უფლება, რომელიც ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული ევროპის და ამერიკის ბევრ მოწინავე ქვეყნებში. პატარა საქართველოში ქალებს გვაქვს ის უფლებათა თანასწორობა, რომლისთვისაც დღესაც თავგანწირვით იბრძვიან სხვა ქვეყნების ჩვენი ამხანაგი ქალები. დავუმტკიცოთ მთელს კაცობრიობას, რომ მოპოვებული უფლებები გვსურს შევინარჩუნოთ და ღირსეულად გამოვიყენოთ.

ისტორიამ იცის მაგალითები ქალების გმირული ბრძოლისა! არა ერთი და ორი ქალი შეუწირავს მსხვერპლად თვითმპყრობელობასთან ბრძოლას! მრავალნი მათგანნი გაბედულად იბრძოდნენ თავისუფლებისთვის და უშიშრად მიდიოდნენ ციხე კატორღაში და თვით სახრჩობელაზე. თუ თავისუფლების მოპოვებისთვის ვწირავდით სიცოცხლეს, მით უმეტეს ნურავის გავათელვინებთ უკვე მოპოვებულ თავისუფლებას! ჩვენ შევადგენთ კაცობრიობის ნახევარ ნაწილს და ჩვენს ხმას და მოქმედებას ექნება უდიდესი მნიშვნელობა.

ამხ. ქალებო! თქვენსკენ არის მომართული ჩვენი მოწოდება. შემოვკრბეთ მშრომელი ხალხის გარშემო და მათთან ერთად მრისხანე იერიშით მივიდეთ მტერზე. სასტიკი და ულმობელი ბრძოლა მას, ვინც ქმნის ანარქიას, თიშავს დემოკრატიას, ასუსტებს მის ძალას და გზას უკაფავს შავ რეაქციას! მედგრად და ერთსულოვნად დავგმოთ ბნელეთის მოციქულთა მოქმედება და განვამტკიცოთ საფუძველი დემოკრატიული წყობილებისა, რომელიც არის ერთად ერთი გზა მშრომელი ხალხის განთავისუფლებისა და საუკეთესო მომავლის—სოციალიზმის დამყარება.

ს. ს. დ. მ. პ. თფ. ქალთა ორგანიზაციის **ბიურო.**

# წვეთი გულისა

I

მე კლდის შვილი ვარ სალისა,
კლდის გულში ნააკვანები,
არწივმა წამახალისა,
შევარდენს ვეთაყვანები!

მთებს თმა წვერ ბროლიანებსა,
ოცნებას ზეცად აწვდილსა,
მეხ ელვა ქროლვიანებსა,—
მკვდარსაც რომ უფრთხობს აწ
ძილსა...

II

სტუმარი გავხდი მეკვიდრე
ძირს დახშულ არე მარისა,
სად სარკით უნდა ვეძებო
მზის სახე, შუქი მთვარისა.

და გულით მთათა მორწმუნე,
კლდის შვილი, ჯიხვის ძმობილი,—
ვიდოდე არიარეთა,
ვერვისგან გამოცნობილი! .

**ვ. ტუხიშვილი.**

# უცხოეთი

### ოსმალეთი

**სმირნაში მდგარ საბერძნეთის** საოკუპაციო ჯარის მთავარ სარდალმა შეატყობინა ოსმალეთის მთავრობას, რომ სმირნაში და მის რაიონში სამხედრო წესების გამო არჩევნების მოხდენა არ შეიძლებაო. ამის გამო ოსმალეთის გენერალ გუბერნატორმა სმირნაში პროტესტი განაცხადა მოკავშირეთა წარმომადგენლებისა და საბერძნეთის კომისარის წინაშე. მოკავშირეთა წარმომადგენლებმა აღუთქვეს გენერალ გუბერნატორს, რომ ისინი პროტესტს თავიანთ მთავრობებს გადასცემენ. საბერძნეთის წარმომადგენლებმა ისევ გაიმეორეს თავიანთი ბრძანება და აღნიშნეს, რომ თუ არჩევნები დაიწყება, ისინი იძულებული იქნებიან სამხედრო ძალას მიმართონ არჩევნების შესაჩერებლათ. ოსმალეთის მთავრობამ თავის მხრივ მიიღო შესაფერი ზომები და ახლო მომავალში შესაძლებელი იქნება სმირნაში საარჩევნო კამპანია დაიწყოს.

### ამერიკა

**შრომა და კაპიტალი.** ვაშინგტონში შეიკრიბა სამრეწველო კონფერანცია, რომლის მიზანსაც შრომასა და კაპიტალს შორის დამოკიდებულების მოწესრიგება შეადგენდა. კაპიტალისტთა ჯგუფმა დაახლოვებით შემდეგი პრინციპები წამოაყენა: უარყოფილ უნდა იქნეს თანაგრძნობის გამომხატველი გაფიცვები და ბოიკოტები, საზოგადო გაფიცვები კი და ლოკაუტები დასაშვებია, თუ ისინი საზოგადოებისათვის მეტად საჭირო დაწესებულებების გაჩერებას არ იწვევენ; არ უნდა არსებობდეს საერთაშორისო ხასიათის დაბრკოლებები წარმოების ნაყოფიერების ზრდისაკენ მიმართულ მისწრაფების სფეროში; ქალთა შრომა, ერთნაირ ნაყოფიერების პირობებში, უნდა დაჯილდოვებულ იქნას და სარგებლობდეს ისეთივე უფლებებით, როგორც მამაკაცების; მუშებისა და ხაზეინების ყოველგვარი ორგანიზაცია უნდა ემორჩილებოდეს მთავრობას და პასუხის მგებელი იყოს მის და მისი აგენტების მოქმედებაში მთავრობის წინაშე.

### რუსეთი

**ოდესის ცხოვრება.** ოდესიდან მიღებული გაზეთები (14 ნოემბ.) საკმაო ნათელს ჰფენენ ოდესის დღევანდელ მდგომარეობას. ქალაქის ბიუჯეტი 330 მილ. მან. უდრის. შემოსავალი 130 მილ. მანეთზე მეტი არ იქნება. საქალაქო არჩევნებში მებრძოლ ჯგუფთა წინაშე მწვავეთ დადგა საკითხი „უკაცობის“ შესახებ; დემოკრატიული ბლოკის წარმომადგენელმა განაცხადა: „საბჭოში 120 კაცი უნდა გაიგზავნოს; მაგრამ მოიძებნება კი ოდესაში 120 კაცი, რომელსაც საქმის გაკეთება შეეძლოს? ჩვენი ქვეყანა ღარიბია საქმის მცოდნე კაცებით, რაც ნათლათ გამოააშკარავა რევოლიუციამ“.

მწვავედ სდგას ბინების საკითხიც. საგანგებოთ მოწვეულმა თათბირმა აღნიშნა ამ მხრივ სასაშიშრო მდგომარეობა და საჭიროთ სცნო თვითეულ სულისათვის დააწესოს ოთახის ნორმა 24 კვადრ. არშინი. არ მოიპოვება სათბობი მასალა. თუ როგორი მწვავე ხასიათი აქვს სათბობ მასალების ნაკლებობას, იქიდან სჩანს, რომ მცხოვრებლები სჭრიან ხეებს ქუჩებში, ბაღებში და სხვ. სიძვირემ საგრძნობათ იმატა: კვარტი რძე ღირს 35—36 მან., ერბო 110 მან., კვერცხი ათი ცალი—80 მან.; ხორცი ფასობს 30 მან., შაქარი—50 მან. ფხვნილი და 80 მან. რაფინადი; ქართოფილი ღირს 4 მ. 50 კ.—5 მან. ქირვანქა.

# ქალაქის საბჭო

27 ნოემბრის სხდომა.

**თავმჯდომარე გრ. გველესიანი** მოახსენებს საბჭოს, რომ თფილისიდგან ზედმეტ ელემენტების გადასახლების საუბნო კომიტეტების ექვსმა თავმჯდომარემ უარი განაცხადა თავის თანამდებობაზე, რომელთა მაგიერ უნდა არჩეულ იქმნენ სხვები. ასარჩევია 11 კანდიდატი.

**კონიევი.** (ქალაქის თავის მოადგილე) საბჭოს მოახსენებს, რომ 25 ნოემბერს შესდგა საუბნო კომისიათა საერთო კრება, რომელზედაც განხილულ იქნა მუშაობის გეგმა. სამუშაო ბევრი აღმოჩნდა და კომისიების ეხლანდელი შემადგენლობა ვერ ასდის მას. მოითხოვენ თავმჯდომარეთა კანდიდატების არჩევას და აგრეთვე ჯამაგირიან საქმის მწარმოებელთა და მათ თანაშემწეების დანიშვნას. საჭიროა შეიკრიბოს ცნობები განსაკუთრებით ამისათვის დანიშნულ პირთა მიერ, რისთვისაც მოწვეულ უნდა იქმნენ საგანგებო პირები. საბჭომ წინა სხდომაზე გადადო 25 ათასი მან. საჭიროა საბჭომ ნება დართოს გამგეობას ამაზე მეტი დახარჯოს საჭიროების მიხედვით. უკვე შესდგა და სამუშაო დაიწყო ცენტრალურმა კომისიამ, რომელშიაც ქალაქის გამგეობამ აირჩია ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი და გამგეობის წევრი ი. ბესელიძე. ხსენებულ კომისიაში უკვე დაიწყო საქმეების შემოსვლა.

საბჭო ადასტურებს გამგეობის მოხსენებას და ნებართვას გამგეობას გასწიოს გადადებულ თანხაზე მეტი ხარჯები. საბჭო ირჩევს ექვს თავმჯდომარეს გასულთა მაგიერ და 11 კანდიდატს.

გამგეობის წევრის **შოთაძის** მოხსენებით საბჭო ადგენს პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს, გარდა სტარიფო პალატის მიერ დანიშნულ 40 პროც. იან საყოველთაო მომატებისა, კიდევ გაუზარდონ ჯამაგირი. ასეთი პირი სულ 45 ია. ეს გამოიწვევს ხარჯების გადიდებას 21,691 მანეთით თვიურად.

**ხმ. ნ. ელიავას** წინადადებით ჯამაგირები ემატება არჩეულ თანამდებობის პირთ, მათგან ქალაქის თავს თვიურათ ენიშნება 7 ათასი მან. და საწარმომადგენლო წლის დამლევამდე 10 ათასი მ. ხოლო მომავალი წლისათვის 20 ათასი მანეთი. გამგეობის წევრთ—6,000 მან., მთავარ კანტროლიორს 6,000 მ. მთავარ ბუჰგალტერს 5000 მანეთი.

ეს მომატება ძალაში შედის 1 ლ ნოემბრიდან. ქალაქის თვითმართველობის საქმის მწარმოებლებს ენიშნებათ 2,500 მან. თვიურათ.

**ხმ. პ. გოთუას და ნ. ელიავას** წინადადებით საბჭო ადგენს შემოსულ საჩივრები სანიტარულ გადასახადზე განიხილოს საბჭოს განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელმაც საბჭოს [illegible] სხდომაზე მოახსენოს შედეგი. კომისიაში არჩეულ იქმნენ ხმ. დ. ჩადუნელი, ვეფხვაძე და ა[illegible].

საბჭო ადგენს [illegible] ლევამდე [illegible] სანახათ [illegible] 50 [illegible] მავალ წლისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ კი ცალკე მსჯელობა იქონიოს.

საბჭო ადგენს განთავისუფლებულ იქნეს საქალაქო გადასახადებისაგან მუზათა კლუბებში გამართული ის წარმოდგენები, რომლებიც განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადისაგან.

პოლიტეხნიკუმის საამშენებლო კომიტეტში საბჭო ერთხმათ ირჩევს ბ. ჩხიკვიშვილს, გ. კონიაშვილს, ნ. ელიავას, დეკ. თალაკვაძეს, ივ. გომართელს, კონ. აფხაზს და არ. ჯაჯანაშვილს.

# ქართლისაკენ

(დღიურები)

20 ნოემბერი.

**კომუნისტთა „პლანები“ ქართლში.**

საერთო ზრახვები გორის მაზრის რკინის გზის ლიანდაგ-სადგურების ხელში ჩასაგდებათ კომუნისტთა სამხედრო რევოლ. შტაბისა ირკვევა.

სასამართლოს განაჩენები, გამოძიებანი, ნახული საბუთები და მომხდარი ფაქტები შემდეგს მოგვითხრობენ: 8 ნოემბერს უნდა დაწყებულიყო საერთო გამოსვლები გორის მაზრაში. ბანდიტებს უნდა დაეპყროთ მეჯვრისხევი, ახალქალაქი, სურამი, ჯავიდან—ცხინვალი, უჯარეთიდან ბორჯომი და შემდეგ საერთო ძალღონით რკინის გზის ლიანდაგი, ხაშური, გორი და ასე.

ხაშურის კომუნისტთა კომიტეტის მდივანი, რომელიც გამოტყდა დანაშაულობაში, შემდეგს მოუთხრობს სასამართლოს: ერთი თვის წინეთ ჩემთან მოვიდა ალ. ბუხნიკაშვილი, ხაშურის დეპოს მუშა, რომელმაც მითხრა: თფილისიდან ჩამოვიდა კომუნისტების წარმომადგენელი მალიკო შანკოევი, რომელიც კრებას იწვევს მოხსენების გასაკეთებლათო. ჩვენ კრებაზე წავედით. კრებას დაესწრენ ოსიაურიდან, ხცისიდან, ხაშურიდან. პირველი კრება შანშის გამო გადაიდო ხუთშაბათისთვის.

ხუთშაბათს კრება გაიმართა სურამში. კრებაზე მოხსენებები გააკეთეს ადგილებიდან, რის შემდეგ მომენტზე მოხსენება წაიკითხა კომუნისტების წარმომადგენელმა. მომხსენებელმა დაასკვნა, რომ ჩვენ ვემზადებით იარაღით დავსცეთ „მენშევიკთა“ შექმნილი წესწყობილება და მთავრობაო. რადგანაც კრება იყო რაიონის და ყველა ადგილებიდან დაესწრენ წარმომადგენლები მანდატებით, კრებამ თავის თავი ხაშურის რაიონულ კომიტეტათ გამოაცხადა და კომუნისტური ორგანიზაციის სახელმძღვანელოთ აირჩია პრეზიდიუმი. არჩევნების შემდეგ ილაპარაკა გორის სა-

# კახეთი

II.

...ერობის მნიშვნელობაზე მე აქ სიტყვას არ გავაგრძელებ, რადგანაც ეს დღეს უკვე საანბანო ჭეშმარიტებაა.

ერობისათვის მცოდნე, მომზადებული ხალხია საჭირო; დღევანდელ გარდამავალ ხანაში ყველა ამასთან ერთად პატიოსანი და ხალხის ერთგული მუშაკი გვესაჭიროება.

ასეთი პირი ჩვენში ბევრია, მაგრამ იმდენი მაინც არ არის, რაც ქვეყნისათვის საჭიროა.

სამაზრო ერობებში საერთოთ მცოდნე და დემოკრატიის ერთგულმა პირებმა მოიყარეს თავი.

რაც შეეხება თელავის სამაზრო ერობას და მის გამგეობას, ქების მეტი არა ითქმის რა. იქ ისეთ პირებს მოუყრია თავი, რომლებიც საზოგადო საქმეს თავსა სწირავენ, დაუღალავათ მუშაობენ და უნაკლულოთა აქვთ გათვალისწინებული დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესი.

მაგრამ მათ მუშაობას ერთი გარემოება, აფერხებს და ნაყოფიერებას უკარგავს: ეს არის თემის ერობა.

თუ სამაზრო ერობებს კიდევ გახვდა მცოდნე, პატიოსანი და თავდადებული ხალხი, იგივე არ ითქმის თემის ერობების შესახებ რაც უფრო ჩამორჩენილია რომელიმე კუთხე, რაც უფრო ნაკლებათ არის სოფლათ მომზადებული პირები, მით უფრო მოიკოჭლებს თემის ერობა.

კახეთში ზოგან თემის ერობა ღირსეული პირების ხელშია და ღირსეულათაც ასრულებს თავის მოვალეობას, ზოგან კი თემის გამგეობაში ისეთი პირები აურჩევიათ, რომლებსაც არც საქმის ცოდნა აქვთ, არც სიყვარული.

იქ, სადაც თემის ერობის სათავეში მცოდნე პირები მოქცევიან, გაუგებრობას, არევ დარევას, უსამართლობას ძვირათა აქვს სოფლის ხალხში ალაგი.

ხოლო სადაც თემის ერობა მოუმზადებელ პირებს ჩავარდნია ხელში, გაუგებრობას, უკმაყოფილებას და უსამართლობას ყოველ ფეხის გადადგმაზე აქვს ალაგი.

სათემო ერობა თავის თემში იგივე მთავრობაა. ის შეადგენს საძირკველს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მისი უფლებრივი წყობილებისას. თუ სათემო ერობა არ ვარგა, ის ხალხში სახელს უტეხავს და ნდობას უკარგავს როგორც დემოკრატიულ რესპუბლიკას, ისე იმის მთავრობას.

კახეთის ერთ სოფელში სათემო ერობის გამგეობის წევრს თვისი ადგილები იჯარით გაუცია და სხვანდო მიწებიდან ექვსი დესეტინა თავისთვის მიუზომია მოსახნავათ, მაშინ, როდესაც ზოგიერთ უმიწაწყლო გლეხს ერთი დესეტინაც არა რგებია,—ან თუ რგებია, უფრო მდიდარ გლეხს წაურთმევია და თავისთვის დაუხნავს.

მკითხველი იკითხავს, მერე რათ ირჩევს ხალხი ასეთ პირებსო.

იქ, საცა სოფელი შეუგნებელია, ძალმომრეობას დიდი ადგილი აქვს. ხშირათ რამოდენიმე თავზე ხელაღებულ პირს მთელი სოფელი ხელში უკავია და, საითაც უნდა, იქით აქნევიებს თავს, რაც უნდა, იმას გააკეთებიებს.

სხვები ემორჩილებიან ასეთ პირებს თავისი სურვილის წინააღმდეგ, რადგანაც ეშინიათ.

ყოველივე ამას ერთბაშათ ბოლო არ მოეღება. სისტემატიური და მკაცრი ბრძოლაა საჭირო. ამისათვის კი აუცილებელია კანტროლი. მაზრის ერობის გამგეობა შეუჩერებლათ უნდა ადევნებდეს თვალ ყურს მაზრაში თემების მუშაობას. მარტო კანცელარია და ქაღალდების წერა აქ არას გააწყობს. საჭიროა ხშირათ სიარული სოფლათ და ადგილობრივათ გაგება, თუ როგორ კეთდება საქმე და რამდენათ ტარდება ცხოვრებაში მთავრობის დადგენილებანი.

ესეც არ არის საკმარისი.

ჩვენში სახელმწიფო აპარატი ჯერ არ არის მოწყობილი, ის ახლა ეწყობა. მას ბევრი ნაკლი აქვს და ცენტრიდან ბრძანებების გზავნა ასეთ პირობებში არ კმარა: საჭიროა ადგილობრივ გაგება, ვინ როგორ ასრულებს ამ ბრძანებას, ვინ როგორ ემსახურება ხალხს.

ხშირათ ცენტრიდან იგზავნება რაიმე განკარგულება, მაგრამ ადგილობრივათ მას ყველა არ ასრულებს.

ხალხი უნდა ხედავდეს, რომ არის სამართალი და პასუხისმგებლობა; მოხელე არჩეული ან დანიშნული უნდა გრძნობდეს, რომ მას თვალყურს ადევნებენ და პასუხს მოსთხოვენ.

ამისათვის კი აუცილებელია, რომ დრო და დრო სათანადო უწყების წარმომადგენელი—დეპარტამენტის უფროსი იქნება, მისი თანაშემწე თუ სხვა მოხელე სულ ერთია—ჩამოუვლიდეს ამა თუ იმ კუთხეს და ადგილობრივ შეისწავლიდეს, სად რა კეთდება და ვინ როგორ აკეთებს. შეცდომა და უსამართლობა ადგილობრივ უნდა გაასწოროს, ბოროტმოქმედნი უნდა გადააყენოს და სამართალში მისცეს.

აი მხოლოდ მაშინ მოეწყობა თანდათან სახელმწიფო აპარატი და საქმეც გაკეთდება.

სახელმწიფო წყობილების განმტკიცებაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს და ადმინისტრაციას.

როდესაც ამას წინათ სამეგრელოში ვმოგზაურობდი, ხალხი სასამართლოს ემდურებოდა: სამართალი არ არის, აშკარა ყაჩაღებსა და ქურდებს ანთავისუფლებენო.

ამგვარივე საყვედური იყო კახეთში, სადაც განსაკუთრებით ემდურიან გამომძიებლებს.

— დაიჭერენ ქურდსა და ყაჩაღს, ვიტყვით, აი ახლა კი გვეშველაო. შევხედავთ და ორი კვირის შემდეგ თავისუფლათ დასეირნობსო, იმეორებენ თითქმის ერთსა და იმავე სიტყვებით სხვადასხვა პირები.

როდესაც ქურდებსა და ყაჩაღებს იჭერენ, ისინიც დარწმუნებული არიან, რომ ციხეში დიდხანს არ დარჩებიან და მალე გაინთავისუფლებენ თავს. ციხიდან უთვლიან სხვადასხვა პირებს, ვისი გულის ჯავრიცა სჭირსთ: მალე გამოვალთ და გაყურებიებთ სეირსო.

და არა თუ უთვლიან, წერილებსაც კი უგზავნიან ციხიდან ამგვარის მუქარით.

გამომძიებლებს ყველგან ერთი და იგივე გასამართლებელი საბუთი აქვთ: მილიციის უფროსებმა ოქმის შედგენა არ იციან, ისეთ ოქმებს გვიგზავნიან, რომ ჩვენ არ შეგვიძლია კაცი დავაკავოთო.

შესაძლებელია, ეს მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ხშირათ კაცის მკვლელიც ადრე გამოსულა ციხიდან.

ხალხის თვალში სასამართლომ ნდობა დაჰკარგა.

დღეს კახეთში სასამართლო აპარატი კარგათ ეწყობა. იმის სათავეში თელავის მაზრაში მცოდნე, გამოცდილი, პატიოსანი და ხალხის ერთგული პირია ჩაყენებული და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამართლის წარმოებას ის მალე დააყენებს შესაფერ სიმაღლეზე, ხალხში მას ნდობას მოუპოვებს და კანონიერების გრძნობას განამტკიცებს.

ადმინისტრაცია კახეთშიაც ისე მოიკოჭლებს, როგორც ყველგან.

მექრთამეობას, ძალმომრეობას, მიდგომას, დაუდევრობას ბევრგან აქვს ადგილი. მილიციის ჯამაგირი იმდენათ მცირეა, რომ მიკვირს, კახელი გლეხი რისთვის მიდის მილიციონერათ.

მე ვფიქრობ, რომ მას უმთავრესათ იზიდავს იარაღი.

ამ ჟამათ კახეთში საჟენი შეშა ფასობს 1500 მ. მეტი. რაიონის კომისარს კი საჟენი შეშის ფასათ ეძლევა 600 მანეთი. ცხადია, ის ან სიცივით უნდა მოკვდეს, ან უნდა წაართვას ვისმე შეშა ან და როგორმე და საიდანმე იშოვოს დ ნარჩენი 1000 მანეთი საჟენი შეშისათვის.

ალაგ-ალაგ მილიცია ღირსეულათ ასრულებს თავის მოვალეობას.

კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ყვარელის რაიონის კომისარი სერგო ჩხეიძე, რომელიც ენერგიული კაცია და ყაჩაღებს სასტიკათ სდევნის. უკმაყოფილებას იწვევს ის გარემოება, რომ მილიციონერების ნაწილი მას ლეკები ჰყავს და ეტყობა, ამათ უფრო ენდობა, რადგანაც ესენი არ ლამობენ და ყოველ ბრძანებას უფროსისას მტკიცეთ ასრულებენ.

კახელებს კი ხომ მოგეხსენებათ,—გადაკვრა უყვართ.

მცირე ხნის დაკვირვებამ მე დამარწმუნა, რომ ბ. ჩხეიძე მართალი იყო.

თემებსა და კომისრებს შორის მოვალეობა უფლების განსაზღვრის ნიადაგზე ხშირათ გაუგებრობა და უკმაყოფილებაა.

წინანდლის რაიონში მილიციის უფროსათ არის გიორგი კალატოზიშვილი, რომელიც თავისი შეგნებით, განვითარებით, საქმის სიყვარულით, თავდადებით და დემოკრატობით საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენს.

— გიორგი, აბა ერთი მოყევი, როგორ შეადგინე ქურდების კომიტეტი, შეეკითხა ერთი ნაცნობი ჩვენი მოგზაურობის დროს.

— როგორ თუ ქურდების კომიტეტი? დავეკითხე მე.

— მართლა შევადგინე, ბატონო,—დაიწყო გიორგიმ ღიმილით და თვალები გაუბრწყინდა. ამ ერთი წლის წინათ შევუყარე ქურდებს თავი, შევუდგინე კომიტეტი, ავარჩიე თავმჯდომარე და გამოვუცხადე: რაც კი რამ დაიკარგება ან უნდა იპოვოთ, ან უნდა ზღოთ მეთქი. პირველათ ხუმრობა ეგონათ, მაგრამ ერთხელ და ორჯერ რომ გადავახდევინე, მერე იცოცხლეთ ისინი დაფაცურდენ: ქორს რომ ქათამი გაეგლიჯა, იმასაც კი იპოვიდენ, აი ქორს მოუტაცნია, ჩვენ რას გვაბრალებო.

შემდეგ გიორგი სხვა რაიონში გადმოუყვანიათ და ქურდების კომიტეტმაც თავისუფლათ ამოისუნთქა.

თუ ოდესმე რომელიმე წერილი მოწონებია გიორგის გაზეთში, თითქმის ზეპირათ ახსოვს.

გიორგი კალატოზიშვილისთანა პირები ემსახურებიან სოფლათ იდეის და ამისთვის იტანენ ყოველგვარ გაჭირვებას, შევიწროებას, ავაზაკების მუქარას და სხვა.

სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ხალხში ცოტაა ამისთანა შეგნებული, გულწრფელი, უანგარო და თავდადებული მუშაკი.

კახეთში მეტათ მწვავეთ არის სოფლათ სამღვდელოების საკითხი. რევოლიუციამ სამღვდელოება გამოაფხიზლა იმ მხრით, რომ მან ისწავლა შეკავშირება და ორგანიზაციულათ ბრძოლა თავისი ინტერესების დასაცავათ.

მღვდლებს დღესაც აქვთ პროფესიონალური კავშირი. ამ კავშირის ნებადაურთველათ ერთი მღვდელი მეორის მოვალეობას ვერც ერთ სოფელში ვერ შეასრულებს. ამის გამო მღვდელს სოფელი ხელში ჰყავს ჩაჭედილი და ბრძოლის დროს ყოველთვის იმარჯვებს.

ავიღოთ ასეთი მაგალითი. გლეხი იწერს ჯვარს. მღვდელი ბევრსა სთხოვს. სხვა მღვდელი მას ჯვარს ვერ დასწერს, რადგანაც კავშირი ნებას არ მისცემს. გლეხმა კი ჯვარი აუცილებლათ უნდა დაიწეროს და იძულებულია მისცეს მღვდელს იმდენი, რამდენსაც მოსთხოვს.

ზოგჯერ ხალხიც უსამართლოთ იქცევა. ორ მანათს ვიხდიდი წინეთ და ახლაც ამასვე უნდა დაგვჯერდესო, მეუბნებოდენ ბევრგან.

მღვდელი ცალკე ჩივის, მთავრობა ყურს არ გვიგდებსო. ხალხში ცალკე გაისმის საყვედური: მთავრობა უნდა დაგვეხმაროს ამ საქმეშიო.

ყოველივე ეს აშკარათ ჰმოწმობს, დამფუძნებელმა კრებამ და მთავრობამ, რაც შეიძლება მალე უნდა დააჩქარონ და გაატარონ ცხოვრებაში ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოდან.

მაშინ მღვდელი და ერი ადგილობრივი თემების შემწეობით უფრო ადვილათ მორიგდებიან ერთმანეთში.

**ივ. გომართელი.**

(გაგრძელება იქნება)

მაზრო კომიტეტის წარმომადგენელმა, რომელმაც უშვერი სიტყვებით მოიხსენია ნ. ჟორდანია და სხვები. კრებამ მიიღო დადგენილება: სერიოზული ზომები იქნას მიღებული შეიარაღებულ აჯანყების მოსაწყობათ. ერთი კვირის შემდეგ კიდევ გაიმართა კომიტეტის კრება. იმ კრებამ აირჩია სამხედრო სატეხნიკო რევოლიუციონური შტაბი. (ასახელებს წევრებს), რომელსაც დაავალა რაზმების მოწყობა, ხაშურის არ სენალის აღება, რაც არჩეულებმა ხის რულში მოსაყვანათ თავს იდვეს. ამის შემდეგ მოხდა კრება მესამე კვირას. სამხედრო კომისიამ კრებას წარმოუდგინა შემდეგი შემუშავებული პლანი გამოსვლებისათვის.

1) ხაშურსა და გომს შუა ხაშურის აღებისათვის საჭიროა აყრილ იქნას რკინის გზა. რკინის გზა უნდა აიყაროს აგრეთვე სადგ. ლიხთან. ჯავშნიანის გასაწვევათ, საჭიროა სად. აგარას გვარ დიელებს სროლა ავუტეხოთ და მათ საშველათ წასული ჯავშნიანი აყრილ გზაში ჩავარდება. ხაშურში შესვლისთან ვე ერთი ორთქლმავალი უნდა დავაჯახოთ ჯავშნიანს, მხოლოდ ლიხისაკენ ერთ ორთქლმავალს გავგზავნით. ამით გზას გადავჭრით იმერეთ თფილისისას, რომ მენშევიკთა ძალამ არ მოგვისწროს. ეს უნდა მოხდეს სასწრაფოდ და ამავე დროს ყოველი კუთხიდან უნდა შევიყვანოთ ხაშურში შეიარაღებული რაზმები.

2) შემოღებული უნდა იქნას სასტიკი დისციპლინა, რომ წევრებმა მოქმედებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ. ვინც არ აასრულებს ბრძანებას, ხაშურის აღების შემდეგ სიკვდილით უნდა დაისაჯონ.

3) შემოღებული უნდა იქნას ტერორი. დახოცილი უნდა იქნან „მენშევიკები", რკინის გზის მილიცია, შტაბის წევრები, ეროზის წევრები, კომისრები, ტერორით უნდა დაისაჯონ აგრეთვე ბორჯომის შტაბის თავმჯდომარე ხმალაძე, წევრები, მაზრის მოხელეები და ყველა ისინი, ვინც დაიჭერიტონ, ვინც წინააღმდეგობას გაუწევს კომუნისტთა გამოსვლებს.

კრებამ ერთხმათ მიიღო სამხედრო კომისიის გეგმა და შეუდგა მის აგებას.

ქვიშხეთში შეპყრობილ შეთქმულებმა შემდეგი დაუმატეს: უკანასკნელ არეულობის დროს ღამით მოვიდა ყაჩაღი ბუზრუკიძე, რომელმაც შეგვკრიბა თოფებით, ჯობებით და გამოგვიცხადა: მე ბოლშევიკი ვარ, გამოგზავნილი ვარ, ვიბრძვით უკეთეს წესწყობილების შემოსაღებათ, ამიტომ უნდა დავანგრიოთ „ტუნელი", ხიდები, გზები და უნდა ამოვსპოთ გვარდიელები.

მეურისხევში, ახალქალაქში, ხცისში ასეთივე ცნობები ოიგავწოდეს აჯანყების გეგმის შესახებ. ყველგან ერთი და იგივე დასკვნა იყო, რომ მოძრაობას სათავეში უდგია თფილისის სამხედრო რევოლიუციონური კომუნისტური შტაბი და მათი აგენტები.

ობოლი მგზავრი.

## მასწავლებელთა საყურადღებოდ

(სრულიად საქართველოს ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლის მასწავლებელთა კავშირების და ორგანიზაციების დელეგატთა ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტისაგან).

სრულიად საქართველოს ყველა ტიპის და საფეხურის სკოლის მასწავლებელთა კავშირების და ორგანიზაციების დელეგატთა ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ სკოლების მასწავლებელთა საყურადღებოდ, რომ 1920 წ. იანვრის 8 ს ქ. თფილისში მოხდება „სრულიად საქართველოს ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლის მასწავლებელთა კავშირების და ორგანიზაციების დელეგატთა ყრილობა".

ყრილობის პროგრამა: 1) სრულიად საქართველოს ყველა ტიპის და საფეხურის სკოლის მასწავლებელთა კავშირის დაარსება და კავშირის წესდების პროექტის განხილვა, 2) სასკოლო რეფორმა, 3) მასწავლებელთა მომზადება, 4) მოხსენებები ადგილებიდან, 5) მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობა, 6) მასწავლებელთა სახლი, მუზეუმი და ბიბლიოთეკა, 7) კავშირის პერიოდული ორგანო, 8) საბჭოს არჩევნები.

მოხსენებები აღნიშნულ საკითხზე წარმოდგენილი უნდა იქმნას საორგანიზაციო კომიტეტში არა უგვიანეს 20 დეკემბრისა.

არც ერთი მოხსენება, რომელიც წინასწარ არ იქნება განხილული და დადასტურებული საორგანიზაციო კომიტეტის მიერ, წაკითხული არ იქნება ყრილობაზე.

დელეგატთა არჩევნები უნდა მოხდეს შემდეგი წესით: არჩევნებს მოახდენენ ადგილობრივი ფილიალი განყოფილებანი. სადაც ეს განყოფილებები არ არსებობს, უნდა მოხდეს ფაქტიური არჩევნები.

არჩეულ უნდა იქმნას 25 კაცზე 1 დელეგატი. უკეთუ ადგილ. ფილ. გან—ში არ ითვლება 25 წევრი, არამედ ნაკლებ 15 ს, მაინც ირჩევს 1 დელეგატს.

ორგანიზაციები და ამრჩევლები ვალდებულნი არიან დელეგატთა არჩევნების შემდეგ, ე. ი. არჩეულ დელეგატთა გვარი და სახელი მათი მისამართით აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს არა უგვიანეს 1 იანვრისა.

დელეგატები აღჭურვილ უნდა იყვნენ სათანადო მანდატებით. მანდატებს იძლევა ან ადგილობრივი ორგანიზაცია, ანდა წარმოდგენილ უნდა იქმნას საზოგადო კრების ოქმიდან ამონაწერი, რომელიც ხელმოწერილი იქნება კრების თავმჯდომარისაგან და დადასტურებული მდივნის მიერ. ყრილობა გაიხსნება 8 იანვარს და გაგრძელდება 4 დღეს. ყოველგვარი მიწერ მოწერა უნდა სწარმოებდეს შემდეგის მისამართით: ქ. თფილისი, რეალური სასწავლებელი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს ალ. მდივანს.

## მალიკო აფხაზავას ხსოვნას

სოფ. ქინქვათში, ყაჩაღების თავდასხმის დროს სიცოცხლეს გამოასალმეს ლანჩხუთის გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფე მალიკო თომას ძე აფხაზავა. მისმა ტრაგიკულმა სიკვდილმა უსაზღვრო მწუხარება გამოიწვია, როგორც მის ამხანაგებში, საერთოდ მცხოვრებთა შორის.

ჯერ კიდევ ბავშვი, დაეწაფა თვითგანვითარებას, გაეცნო ს. დ. პროგრამას და ჩაება პარტიულ მუშაობაში. გასულ წელს მისი მეთაურობით სოფლად დაარსდა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია, რომელშიაც სისტემატიური მეცადინეობა სწარმოებდა.

აი ამ ნაზ ყვავილს, ჯერ გაუფურჩქვნელს, დაუზრეტელი ენერგიით აღსავსე სიცოცხლით სავსე ახალგაზრდას ტყვიით გაუგმირეს გული რესპუბლიკის მტრებმა—ყაჩაღთა ბოროტმა ხელებმა, 5 ოქტომბერს, რომელიც 8 ოქტომბერს საერთო გლოვით დაკრძალულ იქნა ადგილობრივ სასაფლაოზე. ყ. მაკაშვილი.

## ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 26 გიორგობისთვეს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონის ორგანიზაციის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება ამხ. გ. ბახტაძეს თავმჯდომარეობით.

პირველათ კრება ისმენს მოხსენებებს ადგილებიდგან გამოირკვა, რომ ქვეკოლექტივებში პარტიული მუშაობა მიმდინარეობს ჩვეულებრივ. შემდეგ კრება იხილავს 1918 წ. დუშეთში არეულობის დროს ხულიგნების მიერ მოკლულ ამხ. ქრისტესე მიხეილის ძე რიკაძეს მოხუც დედის წერილობითი განცხადებას, რომელშიც მოხუცი დედა თხოულობს კოლექტივისაგან ნივთიერ დახმარებას, ვინაიდგან მისი შვილი ქრისტეფე იყო ერთათ ერთი მისი მარჩენალი და ამ ჟამათ მას შემწე და დამხმარე არავინ ყავს. კრებამ გადასწყვიტა მისცეს ერთდროულ დახმარების სახით ათასი მან. ამასთანავე ამოირჩია კომისია: ი. მანჯგალაძე და ვ. სანაძე, რომელიც მიიღებს ყოველივე ზომებს, რომ მოხუცებულ და შრომას მოკლებულ რიკაძეს დედას ეძლეოდეს მუდმივი დახმარება.

საწევრო გადასახადის შესახებ: გამოცხადებულ იქნეს გაზ. „ერთობაში", ქვე კოლექტივებმა კი გამოაკრან ადგილობრივ განცხადებანი—რათა წევრებმა იანვრამდე დააჩქარონ ამა წლის საწევრო გადასახადის შემოტანა.

ბოლოს მოხსენებას აკეთებს საგამომძიებლო კომისია ალექსანდრე მიქაძეს საქმის შესახებ: კრებამ გულდასმით მოისმინა მოწმეების, მოწინავე მუშების, ჩვენებები და საკითხის ყოველმხრივ აწონ დაწონის შემდეგ გამოიტანა დადგენილება: ვინაიდან აუარებელ მოწმეების, მოწინავე მუშების, ჩვენებიდან გამოირკვა, რომ ალექსანდრე ლევანის ძე მიქაძე ითვლებოდა ძველ წესწყობილების დროს არასაიმედო პიროვნებათ, ამ ჟამათ კი თავის მოქმედებებით არღვევს პარტიულ დისციპლინას, აღნიშნული მიქაძე გარიცხულ იქნეს პარტიიდან.

მდივანი.

---

ანგარიში სუფსის სოც. დემ. ორგანიზაციისა 1919 წ. 4 თიბერვლიდან 1919 წ. 23 ნოემბრამდე.

შემოსავალი საწევრო: ბაზრიდან 777 მ., რკინის გზიდან 632 მ., ხიდმაღლადან 268 მ. 50 კ., წყალ წმინდიდან 180 მ., ომფარეთიდან 69 მ. 50 კაპ., ტაბანათიდან 249 მ., ხაჯალიიდან 143 მ., ორმეთიდან 213 მ., გრიგოლეთიდან 50 მ.

შემოწირულება: ძმ. პანტურიებისაგან 500 მ., არტემ გოგუაძისგან 50 მ., ბეგლარ გოგუასაგან 50 მ., სულ 3,182 მანეთი.

გასავალი: გურიის კომიტეტში მგზავრობა 992 მ. 70 კ., გურიის კომიტეტს პროცენტები 950 მ., 1 მაისის მოწყობა 28 მ. 30 კ., დეპეშების 152 მ. 50 კ., 26 მაისის მოწყობა 22 მ., 1918 წ. ვალი 42 მ. 80 კ., კანცელარიის ხარჯები 79 მან., კორესპონდენტს 56 მან. გასავალი 2323 მ. 30 კ.; ამ რიგათ დღეს კასაში რჩება 858 მ. 70 კ.

ბ. პანტურია.

---

დიდი ჯიხაიში. 23 ამ თვეს მოხდა ს. დემ. პარტიის წევრთა კრება; დაესწრო 100 მდე პარტიის წევრი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ლ. ჭილაძე, მდივნათ გ. ბიბილეიშვილი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები. 1) მოხსენება სამაზრო ცენტრიდან, 2) ბრძოლა ყაჩაღებთან და დეზერტირებთან, 3) საწევრო გადასახადის გადიდება, 4) მოხსენება მომენტზე და სხვა მიმდინარე საკითხები. პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ა. შუბლაძემ, რომლიდანაც გამოირკვა, რომ ზოგიერთ რაიონებში ამხანაგების სხვადასხვა ორგანიზაციებში დაბანდების გამო პარტიული მუშაობა შეფერხებული ყოფილა. ამ გარემოებისათვის სამაზრო ცენტრს მიუქცევია სათანადო ყურადღება და მიუღია შესაფერი ზომები. დეზერტირებთან და ყაჩაღებთან ბრძოლის შესახებ, კრებამ დაადგინა შედგენილ იქნას სია საზოგადოებაში ყველა დეზერტირებისა და გამოკრულ იქნას სამმართველოში. ეს საშუალება გააადვილებს ყველა დეზერტირებთან ბრძოლას. საწევრო გადასახადის გადიდება სამ მანეთამდე, თანახმათ სამაზრო ცენტრის დადგენილებისა, კრებამ უკამათოთ მიიღო. მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ნ. დევიძემ, რომელმაც აღნიშნა საქ. სოც. დ. მ. როლი თანამედროვე სახელმწიფოს აშენებაში და კომუნისტების გამოსვლა საქართველოში.

კრებამ გულდასმით მოისმინა მოხსენება, სავსებით მოიწონა მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები და გაუგზავნა მას მისალმების დეპეშა. მიმდინარე საკითხში გაირჩა ღამ ღამობით სროლის საკითხი. კრებამ დაადგინა, როგორც აშკარათ, ისე ფარულათაც ეცნობოს ადმინისტრაციას ვინც უმიზეზოთ გაისვრის თოფს ან რევოლვერს, რის შემდეგ ადმინისტრაციას ევალება შესაფერ ზომების მიღება.

ნოდი.

## პროვინცია

დუშეთის მაზრა. დუშეთის მაზრას წინათაც დიდ ყურადღებას აქცევდენ ბალშევიკები. ვის არ ახსოვს მათი გმირული გამოსვლა შარშან ზაფხულში. წელსაც ადრიანათ გამოგზავნეს „ორგანიზატორები" შეიარაღებული გამოსვლის მოსაწყობათ. მართალია, ამისთვის პირობები შარშანდელზე უფრო ცუდი იყო, იცოდენ, რომ დუშეთის გლეხკაცობისთვის 1918 წლის მწარე გამოცდილებას უმნიშვნელოთ არ ჩაუვლია და წელს არც ისე ადვილი იქნებოდა ხალხის მოტყუილებით გამოყვანა, იცოდენ, რომ ჩვენი პარტიის დაუღალავმა მუშაობამ ამბოხების შემდეგ გაფანტა ბალშევიზმით მოწამლული ატმოსფერა და ხალხში თვითცნობიერება შეიტანა, მაგრამ ბალშევიკები ულალატებდენ თავის თავს, თუ აქედან შესაფერ დასკვნას გამოიყვანდენ და ავანტიურაზე ხელს აიღებდენ.

გავეცნოთ 24 ოქტომბრის „გმირებს" და მათ საშუალებებს დასახულ მიზნის განსახორციელებლათ.

20 ოქტომბერს ეძგვერაძის სამიკიტნოში, ქალაქ გარეთ, თავს იყრიან: თფილისიდან საგანგებოთ გამოგზავნილი საგუბერნიო ციხის საყარაულო ასეულის ჯარისკაცი მიხ. მელია; შეიარაღებული ძალის შესაქმნელათ ერთი თვით ადრე მოსული ვიღაც ცემენტია; კობოს „კომუნისტი" პსიხოპატი ტაკაევი; შაქრო ავსაჯანოვი—ლოთი, ორჯერ მკვლელობის ჩამდენი; ბაზალეთის საზოგადოების მცხოვრები ლექსო ვერძეული—პიროვნება მეტათ ბნელი წარსულით—მან ქალის გატაცების დროს ყელები გამოსჭრა ძუძუს ბავშვებს და ამისთვის კატორღაში იყო გაგზავნილი.

აი ასეთი პირები კისრულობენ ხელმძღვანელობას და მართვა გამგეობის სათავეში მოქცევას.

როგორია მათი საშუალებები?

23 ოქტომბერს, ნაშუალამევს, დუშეთის ახლო მაღლობებზე თავი უნდა მოიყარონ შეიარაღებულმა სოფლელებმა; აუცილებლათ უნდა იქნას მოწვეული ყაჩაღთა ბრბო, როგორც გამოცდილი საიმედო ძალა; იარაღი უნდა აჰყარონ ჯერ მილიციას და შემდეგ გვარდიას; რაც შეეხება ჯარს—მისი მხრივ, ბალშევიკების „შტაბის" აზრით, წინააღმდეგობის გაწევა მოსალოდნელი არ არის. ამნაირათ, მეორე დღეს, დილით, დუშეთში ახალი, კომუნისტური მთავრობა დადგება და ძველი, დემოკრატიული—ისტორიას ჩაბარდება. ასეთი იყო განზრახვა ბალშევიკებისა და უნდა ითქვას, რომ მათ ამ მხრივ ცდა არ დაუკლიათ.

ქალაქის ახლო ორ ადგილას მართლაც შეგროვილიყვნენ ხამოცამდე სოფლელი—ზოგი იარაღით და ზოგიც უიარაღოთ; მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მხოლოდ ცარიელი ტომრები წამოეღოთ ნადავლის მოლოდინში. იყვნენ აგრეთვე ყაჩაღები ცნობილი ყაჩაღების—შაქრო ქაფიაშვილის და გრიშულა ისიანცის მეთაურობით, ყაჩაღები ბალშევიკების წაქეზებით და დახმარებით დაეცნენ ბაზალეთის რაიონის კომისარიატს, რომელიც მოთავსებული იყო ქალაქ გარეთ; ატეხეს სროლა და იარაღი აჰყარეს შვიდ მილიციონერს. როგორც შემდეგ გამოირკვა, თვით მილიციონერებში ყოფილიყვნენ მოღალატენი—კარიაული და ვარსიმაშვილი სროლის ხმაზე ჩასაფრებული. სოფლელები შევიდნენ და ბალშევიკებისვე წინადადებით სოფლებში დაბრუნდენ, ყაჩაღებმა კი ტყეს მიაშურეს. ამით დასრულდა ბალშევიკური „კომუნის" დამყარების საქმე დუშეთში. ამ ამბავმა უმალ ფეხზე დააყენა გვარდია, მილიცია და ჯარი: ალყა შემოარტყეს ყველა საეჭვო ადგილებს და რამოდენიმე მონაწილე თავდასხმისა იქვე დააპატიმრეს.

საგანგებო სამხედრო სასამართლო შეუდგა დატუსაღებულების გასამართლებას და ჯერ-ჯერობით ერთი დამნაშავეს მიუსაჯა სიკვდილით დასჯელი.

ნაიხა.

---

თიანეთი. თიანეთის მაზრა ერთი საუკეთესო კუთხეა ჩვენი სამშობლოში მისი ჰავით და გეოგრაფიული მდებარეობით. ეს გარემოება ხელს უწყობს უმთავრესად შინაური საქონლის მოვლა-მოშენებას. აკეთებენ ყველს, კარაქსა და ერბოს, რომელიც თფილისში ჩააქვთ გასასყიდათ. როგორც ყველგან, ისე აქ ზღაპრული სიძვირეა ყოველგვარ სანოვაგეზე. და ამას უგზოობა უწყობს ხელს. ფშავ-ხევსურეთი დაშორებულია თიანეთს და ზამთარში ძლიერ ძნელდება მიმოსვლა გზის შეკვრის გამო. ესაა მიზეზი, რომ აქ შეუძლებელი ხდება სკოლების და სასამართლოს დაარსება. ხელს უშლის აგრეთვე ბინის უშოვნელობა, რაიცა ხმოსანთა ყრილობაზე იყო აღნიშნული. ზოგიერთ სკოლებს მასწავლებლები არა ჰყავთ და ვერც შოულობენ. და ასეთი გარემოება აფერხებს საქმის წინსვლას. საექიმო და აგრონომიულ დახმარებასაც საჭიროებს მაზრა. განზრახულია დაარსდეს მაზრაში სავადმყოფოები და საფერშლო პუნქტები, რისთვისაც საჭიროა ექიმები და ფერშლები. ხმოსანთა მეორე ყრილობა ფრიად კარგათ მუშაობდა. დილაობით კომისრების სხდომები იყო და საღამოობით ყრილობის სხდომებზე უკამათოთ, ან მცირე კამათის შემდეგ სწყდებოდა ესა თუ ის საკითხი. ყველა საკითხი ფრიად მნიშვნელოვანი იყო, სხვათა შორის, საინტერესო იყო მერძეობის ინსტრუქტორის მოწვევის საკითხი. რადგანაც თიანეთის მაზრაში განვითარებულია საქონლის მოშენება და ეს ინსტრუქტორიც დიდს შემწეობას აღმოუჩენს მაზრას ამ მხრივ.

გოგია ციხკარაშვილი.

---

რაჭა. ზემო რაჭაში უკვე დაიწყო შიმშილი. ფუთი სიმინდი ეხლა 180 მანეთი ფასობს. თოვლის გამო გზები იკეტება და ძლიერ სჭირდება სანოვაგის შეტანა.

მთავრობის დადგენილებით რაჭაში უნდა გაიგზავნოს სიმინდი. აუცილებლათ საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარებით იქნას სისრულეში მოყვანილი მთავრობის დადგენილება, ვინაიდან რამოდენიმე ხნის შემდეგ გზები სულ მთლად დაიკეტება და თუ დღეს ძნელია სანოვაგის შეტანა, შემდეგ ყოვლად შეუძლებელი გახდება.

ერობის სასურსათო განყოფილებას დღეს სრულიად არა აქვს სიმინდი, მან მოწოდებით მიმართა ხალხს, რათა მათ განცხადებები შეიტანონ გამგეობაში და საჭირო ფულიც წარადგინონ. ამ მხრივ მუშაობს დღეს ერობის სასურსათო განყოფილება.

— რაჭის მაზრაში არ იყო არავითარი გასაცვლელი სანოვაგე, ამიტომ აქ არ შემოსულა მანუფაქტურა, რომელიც მთავრობამ სხვა მაზრის ერობებს სხვადა სხვა სანოვაგეში გაუცვალა. ხალხი ტიტველია. საჭიროა ამ მხრივაც მაზრას რაიმე დახმარება აღმოუჩინოს.

მაზრაში ტიფმა იჩინა თავი.

მიწის მიმღებ სარაიონო კომისიებმა უკვე ლამთავრეს მიწის ჩამორთმევა. სახელმწიფო ფონდში ძლიერ ცოტა მიწა გადავიდა.

30 ნოემბერს ქ. ონში დანიშნულია ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები.

# განცხადებანი


## ქართულ მანქანით

გადამწერი სჭირია

მიწად მოქმედების სამინ. სასოფ. მეურნეობის განყოფილებას.

ჯამაგირი 1295 მან.

გამოცხადა 30 ნოემბერს, სალ. 6 საათზე.

(3121—1—1)

## იყიდება

შემთხვევით მიწა ვაკეზე, სემინარიის ახლოს. 80 კვ. საჟ.

საჭირო ცნობებისათვის მიმართეთ: არმიანსკი ტუპიკში, № 10.

(3133—6—1)

## სამკურნალო

(კავკ. წით. ჯვ. საოლქო სამმართველო) ჩერქეზ. ქ. № 77, იაკუბოვიჩის აფთ. გვერდ. ავადმყოფ. მიღება ექიმ სპეციალისტების მიერ ყოველ დღე 9—2 საათამდე.

ვ. ხანაძე 9—12. შინ. ვენერ. სიფილ.

ფ. ფეხნერი 10—11, საბავშ. შინაგ. სნ.

ი. ტერ-გაკიმოვი 12—1. ვენერ. სიფილ.

ი. ბოკერია 10—11. ხირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო

ა. ტერ-გრიგორიანცი 1—2. შინაგ. საბავ.

ტ. განუუშოვი 11—12. ქალთა საბებ.

„606" და „914" ყოველ დღე.

რჩევა 10 მ. ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი ვ. ა. ხანაძე.

((2937—თ.)

ექიმი ბ. დ. ძაძამიძე

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914", მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე" ! პირდაპირ № 116. ტელ. 14—28

ექიმი ოსეთინოვი.

დაიწყო ავათმყოფების მიღება. დილის 9 ნახ.—11 ნახ. საათ. საღამოსაც—6 ნახ საათ. ვენერიული სნეულებანი: სიფილისი, ტრიპერი და მათი შედეგები „606" და „914" შეშხაპუნება. ვოლის პროსპ. № 80 ბინა 3. (თ. 2816)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)

ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.

ექ. გართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.

ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საყრუშერო ყოველ დღე 10—11.

ექ. ქალი იოხელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.

ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.

ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.

რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606" და „914".

(2930—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.

შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი ნიკოლოზ მახარაძე

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. (ზემელის აფთიაქის ახლოს).

(2795—თ.)

ექიმი ნ. დ. ტუღუშიძე

იღებს ავადმყოფებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებით ყოველ დღე დღის 1—2 და სალ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 10—12.

(თ.—3028)

ოზურგეთში

ექიმი ს. ვ. ბაზაძე

მიიღებს ავათმყოფებს შინაგან სნეულებებით, კუჭის, ბავშვის და წითლების. ვენერიული, სიფილისი და „606" შეშხაპუნებით. ქ. სიამაიშვილი სახლში.

ექიმი ა. ლომინაშვილი

შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივ გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით ჰკურნავს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჭების ავათმყოფობათ. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ქალ. ხამტრედიაში

ექიმი ი. ი. ქეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606" და „914") ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი კ. ტყეშელაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

ექიმი ა. ა. მაშრაძე

ხმეციალისტი სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914". ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ქუჩა № 33.

ექიმი დ. ა. ხარაძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი ქალი რ. ბ. ზუბალოვა-ხაბაზიძე

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ილინბურგის მედიკურ ქირურგიულ აკადემიისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას ხელოვნური წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე

იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი.

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა ზ. ბ. მეგრელიძე

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X სხივებით, დიდი სადენიერი და არსენალი, ტუბერკ. ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, დარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი დ. ვ. ჯამახიშვილი.

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი ივ. ბოკერია

იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულების და საყრუშერო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95. (თ. 2744)

## მიწად-მოქმედების სამინისტროს

საძოვარ საიჯარო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ამა წლის ხუთშაბათს, 25 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე ქუთაისის სამაზრო კომისარიატის ბინაზე დანიშნულია პალეასტომის ტბის და მდინარე წყლების: დედებერას, პიჩორას, გურიელკას, შავი ღელეს და იმნათის საიჯაროთ გასაცემათ

## საჯარო ვაჭრობა

დაბეჭდილი განცხადების დაშვებით 1920 წლის 1 იანვრიდან ერთი წლის ვადით.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება 100,000 მანეთიდან. დაწვრილებითი პირობების განხილვა ხსენებულ სათევზაო ადგილების გაცემის შესახებ შეიძლება ყოველდღე 12—3 საათამდე საძოვარ საიჯარო განყოფილებაში (პეტრე დიდის ქუჩა, № 22), ქუთაისის სამაზრო კომისარიატში, სენაკის მაზრის ერობაში და სახელმწიფო სადგილ-მამულო ფონდის გამგე პარუაშვილთან ქ. ქუთაისში. პირადი ვაჭრობის მსურველთ უნდა შეიტანონ განცხადება ორ მანეთიან სალერბო მარკითა.

დაბეჭდილი ბარათები ამავე სალერბო გადასახადით წარდგენილ უნდა იქნეს ქუთაისის სამაზრო კომისარიატში არა უგვიანეს 12 დეკემბერს შუადღის 12 საათისა. შემდეგ ამისა იწყება სიტყვიერი ვაჭრობა და დამთავრებისას იხსნება დაბეჭდილი ბარათები. (ნ. 1—1)

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

## მთავარ სამმართველო

ამით აცხადებს, რომ სურამის ფსიქიატრიულ ახალშენში შეიძლება მიღებულ იქნას დაწესებულ ფასით ხუთი ავათმყოფი (მამაკაცი). დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება წითელი ჯვრის კანცელარიაში (26 მაისის ქუჩა საბეზიო ინსტიტუტის შენობაში) და ქ. სურამში ფსიქიატრიულ ახალშენის უფროს ექიმთან. (2901—14—11)